# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №892

2007 წლის 25 ივნისი

*ქ. თბილისი*

## სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*

1. დამტკიცდეს თანდართული ,,სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესი".
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ი. მერაბიშვილი*

## სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესი

### თავი I

### ზოგადი დებულებები

**მუხლი 1**

ეს ინსტრუქცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე გირავნობის (გარდა საგადასახადო გირავნობისა) რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების, დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის, ლიზინგის რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების, ლიზინგის მოწმობის გაცემის, აგრეთვე ნასამართლობის შესახებ ცნობის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის, პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის, იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის, მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემის, ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მომსახურების ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჳ$^4$" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცნობის სახით გაცემის და ამავე კანონის მე-6 მუხლის „რ$^1$" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის წესსა და პირობებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

მუხლი 2

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) – კანონით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში;

ბ) საფასური – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სავალდებულო გადასახდელი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, რომელიც გადაიხდება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის;

გ) მომსახურება – სააგენტოს მიერ ამ წესითა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელება;

დ) დაჩქარებული მომსახურება – დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების განხორციელება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემჭიდროებულ ვადაში;

ე) დაინტერესებული პირი – ნებისმიერი პირი, რომელსაც ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით გააჩნია სამართლებრივი უფლება, მოსთხოვოს სააგენტოს მომსახურების გაწევა;

ე$^{1}$) მესამე პირი – ნებისმიერი დაინტერესებული პირი, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა და მონაცემთა დამმუშავებლისა;

ვ) (ამოღებულია - 25.04.2019, №37);

ზ) მატერიალური დოკუმენტი – ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;

თ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა – ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდის (ვებსივრცის) მეშვეობით;

ი) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალება – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება;

ი.ა) შიგაწვის ძრავას მქონე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ$^{3}$-ზე მეტია;

ი.ბ) ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია;

ი.გ) მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია ამ ქვეპუნქტის „ი.ა“ და „ი.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით მისი ბუქსირებისათვის;

ი.დ) სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება;

[ი$^{1}$) ცნობა – ამ წესის III, III$^{1}$, III$^{2}$, III$^{4}$, III$^{5}$, III$^{8}$, IV, IV$^{1}$ და IV$^{2}$ თავებით გათვალისწინებული ცნობა; *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

კ) სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა – დოკუმენტი, რომელშიც დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად აისახება:

კ.ა) სააგენტოს მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (მათ შორის, მისი ნომრიანი აგრეგატის) რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემი (სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემი);

კ.ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული ინფორმაცია მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და მის ნომრიან აგრეგატზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ;

კ.გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ამ ქვეპუნქტის „კ.ა“ ან/და „კ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემის არარსებობის შესახებ;

კ$^{1}$) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაცია, დროებითი რეგისტრაცია, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, აღრიცხვიდან მოხსნა, სარეგისტრაციო ნიშნების გაცემა, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის მისი დაშვება, დადგენილი წესით სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში (სისტემაში) ელექტრონული ან/და მატერიალური სახით სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების ასახვა;

ლ) დამხმარე ტექნიკური საშუალებები – სავალდებულო რეგისტრაციისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამხმარე საშუალებები, რომლებზეც არ გაიცემა სახელმწიფო სანომრე ნიშანი;

მ) სამომავლო ქონება – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად გირავნობის გარიგებით განსაზღვრული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში;

ნ) ავტორიზებული მოგირავნე ან ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) – მოგირავნე ან ნოტარიუსი (მისი შემცვლელი), რომელსაც სააგენტოსთან დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მინიჭებული აქვს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გირავნობის რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების ან/და გირავნობის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ელექტრონული დოკუმენტის წარდგენის უფლება.

ო) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა – დოკუმენტი, რომელშიც დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად აისახება:

ო.ა) სააგენტოს მიერ საკუთრების ან სარგებლობის უფლებით იარაღის რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული, დამუშავებული და შენახული მაიდენტიფიცირებელი მონაცემები იარაღის (მათ შორის მისი დამატებითი ძირითადი ელემენტების) ან/და მისი მესაკუთრის/მოსარგებლის შესახებ;

ო.ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული/აღრიცხული ინფორმაცია იარაღზე (მათ შორის მის დამატებით ძირითად ელემენტებზე) არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ;

ო.გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ამ პუნქტის:

ო.გ.ა) „ო.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემის არარსებობის შესახებ;

ო.გ.ბ) „ო.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იარაღზე (მათ შორის, მის დამატებით ძირითად ელემენტებზე) არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის თაობაზე ინფორმაციის არარსებობის შესახებ;

ო[1]) იარაღის რეგისტრაცია – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მესაკუთრის ან მოსარგებლის სახელზე საკუთრების ან სარგებლობის უფლებით იარაღის (ასევე მისი დამატებითი ძირითადი ელემენტების) პირველადი რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება, ჩამოწერა, იარაღის შეძენის ნებართვის სახის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) განსაზღვრა/მინიჭება, სარეგისტრაციო სისტემასა და დოკუმენტებში ინფორმაციის აღრიცხვა.

პ) მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემი;

ჟ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით;

რ) ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი – სააგენტოს ვებგვერდზე ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი.

[რ) ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის და ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 აგვისტოს №84 ბრძანებით დამტკიცებული წესით ავტორიზებულ დაინტერესებულ პირად რეგისტრირებული მონაცემთა სუბიექტი; ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)***]

[რ[1]) ავტორიზებული მომხმარებელი – ავტორიზებული მოგირავნე, ნოტარიუსი (ნოტარიუსის შემცვლელი), ავტორიზებული ლიზინგის გამცემი, ამ ინსტრუქციის 18[1] მუხლით განსაზღვრული პირი;***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)***]

ს) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ამ წესის მიზნებისათვის ეს ტერმინი მოიცავს:

ს.ა) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში:

ს.ა.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას;

ს.ა.ბ) ამ წესის 2[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას – საქართველოს მოქალაქის პასპორტს ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემულ მართვის მოწმობას;

ს.ბ) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში – ბინადრობის მოწმობას ან პასპორტს.

ტ) ლიზინგის რეგისტრაცია – სააგენტოში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5

მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებასა ან/და სასოფლო-სამეურ მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე ლიზინგის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, ლიზინ რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით;

უ) ლიზინგის მოწმობა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $580^{8}$ მუხლით გათვალისწინებუ ლიზინგის მოწმობა;

ფ) ავტორიზებული ლიზინგის გამცემი – ლიზინგის გამცემი, რომელსაც სააგენტოსთან დადებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მინიჭებული აქვს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ლიზინგის რეგისტრაციის ან/და ლიზინგის რეგისტრაციაშ ცვლილებების განხორციელების ან/და ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ელექტრონულ დოკუმენტის წარდგენის უფლება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 06.12.2021წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023წ.*

### მუხლი $2^{1}$

1. მომსახურების გაწევისას სააგენტოს უფლება აქვს, მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), თავის მიერ დამუშავებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები ან შესწორებები, გასცეს (გამოსცეს) ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა.

2. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, მიუხედავად საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილისა.

3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააგენტოს ერთ სტრუქტურულ ერთეულში დაწყებული მომსახურების გაგრძელება მოითხოვოს სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული გარემოებების არსებობისას საქმისწარმოებისათვის გათვალისწინებული დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ ურთიერთგაცვლის წესი განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის მიერ.

4. მომსახურების გაწევისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის პასპორტით ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემული მართვის მოწმობით შესაძლებელია მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დადგენა სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერების ამსახველ მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით.

5. მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოში აღნიშნული დოკუმენტები ან ამ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია ინახება ელექტრონული სახით.

6. თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააგენტოს მიერ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტი მიიღება, თუ იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით.

7. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს ქართულად ნათარგმნი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით, ან თუ უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტში პირის პერსონალური მონაცემები ლათინური ტრანსლიტერაციითაცაა შესრულებული, ან კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის თარგმნის გარეშე წარმოებაში მიღების ვალდებულებას.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*

## თავი II

## მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციის წესი

## მუხლი 3

1. სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია სააგენტოში. გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება, თუ:

ა) გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ სააგენტოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

ბ) გირავნობის რეგისტრაცია ხორციელდება ავტორიზებული მოგირავნის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის დადგენილი წესით წარდგენის საფუძველზე.

2. სააგენტო უფლებამოსილია მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს (მათ შორის, საარქივო მასალები) და გასცეს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს.

3. სააგენტო უფლებამოსილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა ამ წესით განსაზღვრულ დოკუმენტებისა, დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რაც აუცილებელია გირავნობის რეგისტრაციის საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

4. სააგენტოს მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წერილობითი ფორმის გარიგებისა და ამ წესით განსაზღვრული თანმხლები მატერიალური დოკუმენტების სააგენტოში წარდგენიდან, ხოლო გირავნობის უფლების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით რეგისტრაციის შემთხვევაში – ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ საინფორმაციო ბარათის წარდგენიდან.

5. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობა რეგისტრირებულად ითვლება სააგენტოს მიერ რეგისტრაციის ჟურნალში ან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მისი რეგისტრაციისა და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების მომენტიდან.

6. გირავნობის რეგისტრაციის საფასური გადაიხდევინება დასაგირავებელი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესაბამისად.

7. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაციის საფუძველია ავტორიზებული მოგირავნის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის დადგენილი წესით წარდგენა.

$7^1$. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ავტორიზებული ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ შედგენილი ან/და დამოწმებული გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაციის საფუძველია ავტორიზებული ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის დადგენილი წესით წარდგენა.

8. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი გირავნობის გარიგების მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსზე და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე. სააგენტო არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარიგებაში ასახული გარემოებების დამადასტურებელ პირად (გარდა გირავნობის რეგისტრაციის ფაქტისა).

9. დაინტერესებული პირის მიერ რეგისტრირებული გირავნობისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადა განისაზღვრება რეგისტრაციის წიგნში ან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გირავნობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ასახვიდან ერთი თვის ვადით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.*

## მუხლი $3^1$

1. კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტო ახორციელებს გირავნობის რეგისტრაციას:

ა) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე საქართველოში შემოტანილი, სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებულ, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ბ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო პროცედურაში მიქცეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც დეკლარირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით;

გ) სააგენტოში რეგისტრირებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე.

დ) დამგირავებლის მიერ შესაძენ სამომავლო ქონებაზე, თუ სამომავლო ქონება წარმოადგენს:

დ.ა) საქართველოში დაურეგისტრირებელ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებულ სატრანსპორტო საშუალებებს;

დ.ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს.

2. სააგენტოში დაურეგისტრირებელი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გირავნობის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია დამატებით აისახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა ბაზაში.

3. თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს სამომავლო ქონება, მაშინ დამგირავებლის მიერ ქონების შეძენის შემთხვევაში წინა მესაკუთრის დროს წარმოშობილი გირავნობის უფლება წინ გაუსწრებს ახალი მესაკუთრის დროს წარმოშობილ გირავნობის უფლებას, მიუხედავად მათი წარმოშობის თარიღისა.

4. სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება დამგირავებლის მიერ მისი შეძენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად.

5. სამომავლო ქონებაზე გირავნობის რეგისტრაცია არ განხორციელდება, თუ გირავნობის გარიგებაში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული დამგირავებლის მიერ შესაძენი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

6. სამომავლო ქონებაზე გირავნობის რეგისტრაციის არსებობისას სააგენტოში დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ახალ მესაკუთრეზე გადაფორმების შემთხვევაში, შემძენზე გადადის დაუტვირთავი ქონება, თუ მოთხოვნის მომენტისათვის სააგენტოში არ მოიპოვება ინფორმაცია სამომავლო ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გახდომის შესახებ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება, თუ შემძენი დამგირავებელია.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №76 - ვებგვერდი, 30.08.2019წ.*

### მუხლი 4

1. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) გირავნობის გარიგება, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის მოთხოვნებს;

ბ) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე საქართველოში შემოტანილი, სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების გირავნობის რეგისტრაციისათვის, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ელექტრონული ან მატერიალური სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მექანიკური სატრანსპო რ ტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისა და მისი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარების ფაქტს;

ბ) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე დამგირავებლის საკუთრების უფლების წარმოშობის ( გარდა სამომავლო ქონებისა) დამადასტურებელი დოკუმენტი (კონოსამენტი, ინვოისი, ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვ.) ან მისი ასლი.

3. მარეგისტრირებელ ორგანოში (სააგენტო) უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, გარიგების მონაწილე მხარეების მიერ გირავნობის გარიგებაზე ხელმოწერის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა, დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი მოგირავნისა და დამგირავებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე იურიდიული პირია – იურიდიული პირის რეგისტრაციის ამსახველი და მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრით ან მესამე პირზე უფლებამოსილების გადაცემის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტით.

4. თუ დაინტერესებული პირი გირავნობის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმის წარმოებაში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმოდგენილ უნდა იქნეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4 . არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის $1^1$ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს თანხმობა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია, რაც დასტურდება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტით (შეფასების აქტი, დასკვნა ან სხვა).

5. ამ წესით განსაზღვრული მატერიალური სახის დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციისათვის საჭირო გარემოებების დადგენა შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №226 - ვებგვერდი, 29.03.2013წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

## მუხლი $4^1$

1. სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით რეგისტრაციისთვის ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ იმავე სისტემაში წარმოდგენილი საინფორმაციო ბარათი უნდა შეიცავდეს:

ა) გირავნობის გარიგების შედგენის თარიღსა და ნომერს;

ბ) მონაცემებს მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ინფორმაცია უფლებამოსილების შესახებ);

გ) დაგირავებული სატრანსპორტო საშუალების სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;

დ) მოთხოვნის უზრუნველყოფის მაქსიმალურ თანხას ან გირავნობის გარიგებაში აღნიშნული თანხის განსაზღვრის ფაქტის დადასტურებას;

ე) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტის ნომერს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია გარიგების დადების დროისთვის სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა);

ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის $1^1$ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს თანხმობის არსებობის დადასტურებას, თუ გირავნობით იტვირთება არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, რომლის ღირებულება 1000 ლარზე მეტია;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის თაობაზე ინფორმაციის დადასტურებას.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემებისა, ავტორიზებული მოგირავნე უფლებამოსილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესაბამის ველში მიუთითოს მის მიერ გირავნობის გარიგების დადებაზე, გაუქმებაზე ან/და გირავნობის რეგისტრაციაზე (მის გაუქმებაზე, შესწორების, ცვლილების ან/და დამატების შეტანაზე ან სხვა) მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მინიჭებული უფლებამოსილება. აღნიშნული წესით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ავტორიზებული მოგირავნის მიერ წარმომადგენლისა და მისი უფლებამოსილების მითითებას გააჩნია იურიდიული ძალა. ამასთან, ავტორიზებულ მოგირავნეს ეხსნება სააგენტოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ან მატერიალური სახით წარდგენის ვალდებულება.

3. თუ არ არსებობს გირავნობის უფლების რეგისტრაციაზე ამ ინსტრუქციით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი, სააგენტო ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციას ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ერთი საინფორმაციო ბარათით შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასაგირავებელი სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

4. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში ავტორიზებული მოგირავნე (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა) ან ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) ვალდებულია სააგენტოში მატერიალური სახით წარმოადგინოს:

ა) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;

ბ) ამ წესის მე-4 მუხლის $4^1$ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი, თუ გირავნობით იტვირთება არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება.

5. ავტორიზებული მოგირავნე თავისუფლდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით დოკუმენტების მატერიალური სახით სააგენტოში წარდგენის ვალდებულებისაგან, თუ იგი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათის წარდგენასთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული სახით ატვირთვას. ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების

წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება ამავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებზე. ელექტრონული სახით წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ნამდვილობასა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორიზებულ მოგირავნეს.

6. ავტორიზებული მოგირავნის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლების რეალიზება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელიც დასტურდება ელექტრონული ქვითრით, ან სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარი (ავანსით) ან შემდგომი უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. თუ საინფორმაციო ბარათს, სისტემაში ატვირთულ ელექტრონულ დოკუმენტებს ან/და სააგენტოში წარმოდგენილ ან/და დაცულ მონაცემებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა/უზუსტობა, ან თუ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, სააგენტო უფლებამოსილია ავტორიზებულ მოგირავნეს მოსთხოვოს ატვირთული ან სხვა შესაბამისი დოკუმენტების მატერიალური სახით წარმოდგენა, რისთვისაც მას განუსაზღვრავს ვადას. დოკუმენტების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ გაითვალისწინება გირავნობის უფლების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ ავტორიზებული მოგირავნე დადგენილ ვადაში არ წარადგენს სათანადო დოკუმენტს, სააგენტო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს მოთხოვნა გირავნობის უფლების რეგისტრაციის თაობაზე.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლების რეალიზების შემთხვევაში, ავტორიზებული მოგირავნე ვალდებულია, ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების დედნები შეინახოს მინიმუმ სააგენტოში გირავნობის უფლების რეგისტრაციის ვადით, ხოლო ამ პერიოდში სააგენტოს მიერ დოკუმენტების დედნების წარმოდგენის მოთხოვნის (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე) შემთხვევაში, უზრუნველყოს მისთვის აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში. დოკუმენტების მატერიალურად შენახვის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ავტორიზებული მოგირავნის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთული ელექტრონული დოკუმენტები დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

9. ავტორიზებული ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) თავისუფლდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით მატერიალური დოკუმენტების სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებისგან, თუ იგი სააგენტოში დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების შესრულების, აგრეთვე აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების შესახებ წერილობით გააფრთხილებს მოგირავნეს. ავტორიზებული ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ მოგირავნის წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში, დოკუმენტების მატერიალური სახით სააგენტოში წარდგენის ვალდებულება (იმავე ვადაში) ეკისრება მოგირავნეს.

10. ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის), ასევე მოგირავნის მიერ ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6, მე-8 ან მე-9 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან სააგენტოში წარმოდგენილი მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტების უზუსტობის/არანამდვილობის/შეუსაბამობის, ან წერილობითი ფორმის გირავნობის გარიგების ამ წესის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, გირავნობის რეგისტრაცია უქმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №226 - ვებგვერდი, 29.03.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.*

[მუხლი $4^1$

სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით რეგისტრაციისთვის ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ იმავე სისტემაში წარდგენილი საინფორმაციო ბარათი უნდა შეიცავდეს:

ა) გირავნობის გარიგების შედგენის თარიღსა და ნომერს;

ბ) მონაცემებს მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ინფორმაცია უფლებამოსილების შესახებ);

გ) დაგირავებული სატრანსპორტო საშუალების სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;

დ) მოთხოვნის უზრუნველყოფის მაქსიმალურ თანხას ან გირავნობის გარიგებაში აღნიშნული თანხის განსაზღვრის ფაქტის დადასტურებას;

ე) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტის ნომერს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია გარიგების დადების დროისთვის სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა);

ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1[1] ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს თანხმობის არსებობის დადასტურებას, თუ გირავნობით იტვირთება არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, რომლის ღირებულება 1000 ლარზე მეტია;
ზ) კანონით განსაზღვრულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს/საფასურის გადახდის თაობაზე ინფორმაციის დადასტურებას.
2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემებისა, ავტორიზებული მოგირავნე უფლებამოსილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესაბამის ველში მიუთითოს მის მიერ გირავნობის გარიგების დადებაზე, გაუქმებაზე ან/და გირავნობის რეგისტრაციაზე (მის გაუქმებაზე, შესწორების, ცვლილების ან/და დამატების შეტანაზე ან სხვა) მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მინიჭებული უფლებამოსილება. აღნიშნული წესით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ავტორიზებული მოგირავნის მიერ წარმომადგენლისა და მისი უფლებამოსილების მითითებას გააჩნია იურიდიული ძალა. ამასთან, ავტორიზებულ მოგირავნეს ეხსნება სააგენტოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ან მატერიალური სახით წარდგენის ვალდებულება.
3. თუ არ არსებობს გირავნობის უფლების რეგისტრაციაზე ამ ინსტრუქციით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი, სააგენტო ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციას ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათისა და ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ერთი საინფორმაციო ბარათით შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასაგირავებელი სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.
4. გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში საინფორმაციო ბარათთან ერთად ავტორიზებული მოგირავნე ვალდებულია ელექტრონული ფორმით ატვირთოს:
ა) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ელექტრონული დოკუმენტი ან მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლი;
ბ) ამ წესის მე-4 მუხლის 4[1] პუნქტით განსაზღვრული მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლი, თუ გირავნობით იტვირთება არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება.
5. თუ გირავნობის რეგისტრაციის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის მომსახურების გაწევა მოთხოვნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ამ წესის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთვა დაიშვება საინფორმაციო ბარათის ატვირთვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს საინფორმაციო ბარათის ატვირთვიდან ორი სამუშაო დღისა.
6. თუ ამ წესის 3[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის ან მასში ცვლილების რეგისტრაციისათვის ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები დიდი მოცულობისაა, ავტორიზებულ მოგირავნეს უფლება აქვს ასეთი დოკუმენტები (გარდა საინფორმაციო ბარათისა) წარადგინოს უშუალოდ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში.
7. ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) ვალდებულია სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის ან მასში ცვლილების რეგისტრაციისათვის ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები (გარდა საინფორმაციო ბარათისა) წარადგინოს უშუალოდ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მათი ელექტრონული ფორმით ატვირთვას ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტორიზებული მოგირავნე/ნოტარიუსი (მის შემცვლელი) ვალდებულია დოკუმენტები სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში წარადგინოს, თუ გირავნობის რეგისტრაციის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის მომსახურების გაწევა მოთხოვნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის:
ა) მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით ან მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში – მომსახურების გაწევის ბოლო ვადამდე არაუგვიანეს წინა სამუშაო დღისა;
ბ) მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში – საინფორმაციო ბარათის

ატვირთვიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო საათისა.
9. ავტორიზებული ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) თავისუფლდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის ვალდებულებისგან, თუ იგი სააგენტოში დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების შესრულების, ამ ვალდებულების შესრულების ვადისა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების შესახებ წერილობით გააფრთხილებს მოგირავნეს. ავტორიზებული ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ მოგირავნის წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის ვალდებულება ეკისრება მოგირავნეს.
10. თუ გირავნობის გარიგებით გათვალისწინებულია ერთზე მეტი სატრანსპორტო საშუალების გირავნობით დატვირთვა, ავტორიზებული მოგირავნე და ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) უფლებამოსილია გირავნობის გარიგება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით წარადგინოს ერთხელ, თუ ასეთი უფლების გამოყენებისას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მიეთითება გირავნობის გარიგების ერთხელ უკვე წარდგენის დამადასტურებელი, აღნიშნული სისტემის შესაბამისი ველით განსაზღვრული ინფორმაცია.
11. გირავნობის გარიგების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთვისა და სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში წარდგენის მიზანია ავტორიზებული მოგირავნისა და ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების საინფორმაციო ბარათში შეტანასთან/პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარვეზის შედეგად შესაძლო ტექნიკური შეცდომების აღმოჩენა სააგენტოს მიერ და გირავნობის გარიგებაში ასახულ იმავე მონაცემებთან შედარება.
12. ავტორიზებული მოგირავნე ვალდებულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთული ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების დედნები შეინახოს სულ მცირე სააგენტოში გირავნობის უფლების რეგისტრაციის ვადით, ხოლო ამ პერიოდში სააგენტოს მიერ დოკუმენტების დედნების წარდგენის მოთხოვნის (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე) შემთხვევაში, უზრუნველყოს მისთვის აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში. დოკუმენტების ამ წესით განსაზღვრული მიზნებისათვის შენახვის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ავტორიზებული მოგირავნის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთული ელექტრონული დოკუმენტები (მათ შორის, მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლი) დამოწმებულია ან/და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
13. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით გირავნობის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელიც დასტურდება ელექტრონული ქვითრით ან ავტორიზებულ მომხმარებელსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარი (ავანსი) ან შემდგომი უნაღდო ანგარიშსწორებით.
14. თუ საინფორმაციო ბარათს ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთულ ელექტრონულ დოკუმენტებსა და სააგენტოში დაცულ მონაცემებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა/უზუსტობა ან თუ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, სააგენტო უფლებამოსილია ავტორიზებულ მომხმარებელს მოსთხოვოს შეუსაბამობის/უზუსტობის აღმოფხვრა ან/და შესაბამისი დოკუმენტების ელექტრონული ან/და მატერიალური სახით წარდგენა, რისთვისაც მას განუსაზღვრავს ვადას. ამ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის ავტორიზებული მომხმარებლისათვის გაცნობას სააგენტო უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ელექტრონული დოკუმენტის ატვირთვით ან შესაბამისი მოთხოვნის მატერიალური ფორმით წარდგენით. დოკუმენტების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ გაითვალისწინება გირავნობის უფლების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ ავტორიზებული მოგირავნე დადგენილ ვადაში არ წარადგენს სათანადო დოკუმენტს, სააგენტო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს მოთხოვნა გირავნობის უფლების რეგისტრაციის თაობაზე.
15. ელექტრონული სახით წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ნამდვილობასა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორიზებულ მომხმარებელს.
16. სააგენტო უფლებამოსილია გირავნობის უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის ან გირავნობის უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილებები შეასრულოს და გასცეს მატერიალურად ან ელექტრონულად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით. ელექტრონული დოკუმენტები ავტორიზებული მოგირავნისათვის და ნოტარიუსისათვის (მისი შემცვლელისათვის) ჩაბარებულად ჩაითვლება სააგენტოს მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ატვირთვისთანავე/გამოქვეყნებისთანავე.

17. ამ თავის მიზნებისთვის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ასატვირთად, ავტორიზებული მოგირავნე უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლი დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, ხოლო ავტორიზებული მოგირავნის წარმომადგენელი და ნოტარიუსი (მისი შემცვლელი) – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. ასეთ შემთხვევაში მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
18. სააგენტოში წარდგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო ბარათი ხელმოწერას ან/და შტამპს არ საჭიროებს. ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი $4^2$**
1. სააგენტო ახორციელებს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას თუ მოგირავნის ან/და დამგირავებლის მიერ გაფორმებული გარიგება იწვევს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ რეგისტრირებულ მონაცემებში შესწორების, ცვლილების ან/და დამატების შეტანას.
$1^1$. რეგისტრირებული გირავნობის არსებობისას, მოგირავნისა და დამგირავებლის შეთანხმება გირავნობის გარიგების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე არ საჭიროებს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებას, თუ აღნიშნული შეთანხმება არ იწვევს მოთხოვნის უზრუნველყოფის მაქსიმალური თანხის ცვლილებას.
2. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის საფუძველზე, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომსახურებაზე საფასურის გადახდა ხორციელდება შემდეგი წესით:
ა) თუ გარიგება ეხება მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის ან უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალურ თანხის ცვლილებას/დამატებას, მაშინ საფასური გადაიხდება გარიგების რაოდენობის შესაბამისად;
ბ) თუ გარიგებით ხდება დაგირავებული სატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება სხვა სატრანსპორტო საშუალებით ან იზრდება დაგირავებულ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, მაშინ საფასური გადაიხდება წარმოდგენილ გარიგებაში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის შესაბამისად.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარიგებების მიმართ არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.
5. სააგენტო ვალდებულია გაასწოროს მის მიერ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრირებულ მონაცემებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც გამოწვეულია დოკუმენტაციიდან მონაცემის უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვლება ასევე ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №226 - ვებგვერდი, 29.03.2013წ.,*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.*

**მუხლი 5**
1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გირავნობის გარიგებაში უნდა აღინიშნოს:
ა) გარიგების შედგენის თარიღი და ნომერი;
ბ) მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, წარმომადგენლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ინფორმაცია უფლებამოსილების შესახებ);
გ) დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები;
დ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტით დადასტურებული ინფორმაცია გარიგების დადების დროისთვის სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობ ის შესახებ (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა);
ე) უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის ზოგადი ან კონკრეტული აღწერა და მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

2. მოგირავნე და დამგირავებელი ვალდებულები არიან გარიგებაში აღნიშნონ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს, ნოტარიუსის ან საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული (შესრულებული, დამოწმებული) დოკუმენტები (აქტები), რომლებითაც დასტურდება ამ მუხლის პირველი პუნქტის,,ბ“ და,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები.

3. სააგენტოში რეგისტრირებულ დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გირავნობის საგნის აღწერილობაში მითითებულ უნდა იქნეს ტექნიკური ტალონის ნომერი და აგრეგატის ნომერი.

4. გირავნობის გარიგებაში სავალდებულო არ არის მითითებული იქნეს ინფორმაცია დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, თუ გარიგების დადების დროისათვის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული არ არის სააგენტოში.

5. გარიგებაში ასახული, ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტის გაცემა წინ უნდა უსწრებდეს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების გირავნობის გარიგების დადებას, მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №226 - ვებგვერდი, 29.03.2013 წ.*

**მუხლი 6**

სააგენტოს უფლება აქვს უარი განაცხადოს გირავნობის რეგისტრაციაზე, თუ:

ა) წარმოდგენილი მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტები არ აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;

[ა) სააგენტოში წარდგენილი არ იქნა ამ წესით განსაზღვრული მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტები ან წარდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს; ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)***]

ბ) წერილობითი ფორმის გირავნობის გარიგება არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის მოთხოვნებს;

გ) რეგისტრაციის მომენტისათვის დასაგირავებელ ობიექტზე აღრიცხულია უფლებრივი შეზღუდვა (ყადაღა, ძებნა ან სხვა უფლებრივი შეზღუდვის გადაწყვეტილება).

დ) გირავნობის გარიგება არ მოიცავს დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;

ე) რეგისტრაციის მომენტისათვის წარმოდგენილ მატერიალურ ან/და ელექტრონულ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციას;

ვ) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაცია მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა ან არ იქნა გადახდილი მომსახურების საფასური;

ზ) არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 7**

1. ერთი და იგივე ქონება შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს. გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად.

2. (ამოღებულია).

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*

**მუხლი 8**

დაინტერესებული პირის მიერ მოგირავნის წერილობითი თანხმობის სააგენტოში წარმოდგენა სავალდებულოა:

ა) დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციაში ცვლილებების შესატანად, თუ ხორციელდება:

ა.ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნომრიანი აგრეგატის შეცვლა;

ა.ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციიდან მოხსნა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეექსპორტისათვის განკუთვნილ,

დაგირავებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სააგენტოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შესავსებად ან აღრიცხვის მოწმობის გამოსაწერად.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №76 - ვებგვერდი, 30.08.2019წ.*

მუხლი 9
1. რეგისტრირებული გირავნობისას, დამგირავებლის მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შემთხვევაში, დამგირავებელს და შემძენს ერთობლივად ეკისრებათ სააგენტოში შემძენის დამგირავებლად რეგისტრაციის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის.
2. დამგირავებლის მიერ დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გასხვისების შემთხვევაში, სააგენტოში გირავნობის შემძენზე რეგისტრაცია განხორციელდება დამგირავებლისა და შემძენის მიერ ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად გირავნობის გარიგების (გარიგებაში ცვლილების ან/და დამატებების) სარეგისტრაციოდ წარმოდგენისა და გირავნობის რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.
3. დამგირავებლის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გასხვისებაზე შეზღუდვა და მოგირავნესათვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება მხოლოდ „ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების“ არსებობისას, კანონით გათვალისწინებული წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*

მუხლი 10
1. დამგირავებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოგირავნე უფლებამოსილია გადაიფორმოს საკუთარ სახელზე დაგირავებული ნივთი, ან უშუალოდ, აგრეთვე სპეციალური სავაჭრო დაწესებულების მეშვეობით მოახდინოს დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, თუ გირავნობის ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნულის თაობაზე მხარეების შეთანხმებას.
2. (ამოღებულია).
3. მოგირავნის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს:
ა) კანონით დადგენილი წესით დამგირავებლისათვის და სხვა მოგირავნეებისათვის გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) გირავნობის ხელშეკრულება.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ მოგირავნემ წარმოადგინა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი ან მისი ასლი.
5. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშეც, თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე.
6. მოგირავნის მიერ დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შედეგად შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება.
7. მოგირავნის მიერ სააგენტოში მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოგირავნეს.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №226 - ვებგვერდი, 29.03.2013 წ.*

მუხლი 11
რამდენჯერმე დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციისას, უფლების მქონე მოგირავნემ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა სააგენტოში დამატებით უნდა წარმოადგინოს:
ა) იმ მოგირავნის წერილობითი თანხმობა, რომლის გირავნობაც წინ უსწრებს რეალიზაციის განმახორციელებელ მოგირავნის უფლებას;
ბ) კანონით დადგენილი წესით დამგირავებლისათვის და სხვა მოგირავნეებისათვის გირავნობის

საგნის რეალიზაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) გირავნობის ხელშეკრულება.
**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის წინა მოგირავნე არ იყენებს თავის უფლებას ამონაგები თანხიდან დაიკმაყოფილოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემძენზე გადადის გირავნობის უფლებით დატვირთული ქონება, რომლის დადგენილი წესით რეგისტრაციაც ევალებათ გამსხვისებელსა და შემძენს ამ ბრძანებით განსაზღვრული წესით.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*

### მუხლი 11[1]
1. მოგირავნის მიერ ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-11 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და 14[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება ადრესატისათვის:
ა) დოკუმენტის პირადად ხელზე ჩაბარება, რაც დამოწმებული უნდა იყოს ადრესატის ხელმოწერითა და ჩაბარების თარიღით;
ბ) კურიერის ან ფოსტის მეშვეობით დოკუმენტის ჩაბარება, რაც უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით;
გ) ხელშეკრულებით დადგენილი წესით დოკუმენტის ელექტრონული ფოსტის ან ფაქსით გაგზავნა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით მოწოდებული გზავნილით;
დ) მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა განსხვავებული წესით ჩაბარება, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
2. თუ დამგირავებლის ან სხვა მოგირავნეების ადგილსამყოფელი უცნობია ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მოგირავნემ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება საჯარო შეტყობინების გზით – იმ გზით ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით, რომელიც გავრცელებულია დამგირავებლის რეგისტრაციის ან საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამასთან, დოკუმენტი მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მე-7 დღეს.
3. სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების ან ინფორმაციის ნამდვილობა.
4. სააგენტოში მოგირავნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან ინფორმაციის სისწორეზე პასუხიმგებლობა ეკისრება დოკუმენტის ან ინფორმაციის მომწოდებელ პირს.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

### მუხლი 12. (ამოღებულია)
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*

### მუხლი 13
1. სააგენტო არ დააკმაყოფილებს მოგირავნის განცხადებას დამგირავებლის (მესაკუთრის) მონაწილეობის გარეშე გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში აღრიცხვის ან რეალიზაციის თაობაზე, თუ:
ა) მოგირავნის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
ბ) რეგისტრირებული გირავნობის გარიგება არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] ან 283-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოგირავნის უფლებას;
გ) მოგირავნის უფლება წარმოშობილია მფლობელობითი გირავნობით;
დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ გამოიყენება, თუ მოგირავნის მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის ან საკუთრებად აღრიცხვის უფლების წარმოშობა დასტურდება სასამართლოს ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით, ან წარმოდგენილია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*

მუხლი 14

1. გირავნობის უფლების რეგისტრაცია შეწყდება:

ა) მოგირავნეზე გირავნობის გადასვლის გამო;

ბ) მოგირავნის მიერ მატერიალური ან ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე;

გ) მოგირავნის მიერ გირავნობის რეალიზაციის შედეგად;

დ) გირავნობის გაუქმების რეგისტრაციის გამო;

დ[1]) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციიდან მოხსნის გამო;

ე) კანონმდებლობით გთვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. გირავნობის უფლების შეწყვეტა შესაძლებელია დამგირავებლის მოთხოვნის საფუძველზეც, ამ შემთხვევაში განცხადებას გირავნობის უფლების შეწყვეტის შესახებ თან უნდა ერთვოდეს მოგირავნის წერილობითი დასტური.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*

მუხლი 14[1]

1. მოგირავნის წერილობითი მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში მოვალის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნის განცხადების საფუძველზე სააგენტო გასცემს გირავნობის მოწმობას.

2. გირავნობის მოწმობა (დანართი 1) არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც დასტურდება სააგენტოში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლებას აძლევს მოთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.

3. გირავნობის მოწმობის მისაღებად მოგირავნემ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს:

ა) მოგირავნის პარადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოწმობის მიღებაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) (ამოღებულია - 28.11.2013წ., №902);

გ) მოგირავნის მიერ დამგირავებლისათვის სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) გირავნობის მოწმობის გაცემის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. გირავნობის მოწმობა არ გაიცემა, თუ:

ა) რეგისტრირებული გირავნობის გარიგება არ შეიცავს მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლით ან/და 283-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ მხარეთა შეთანხმებას;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) გირავნობის რეგისტრაცია გაუქმებულია;

გ[1]) მოთხოვნის მომენტისათვის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე აღრიცხულია უფლებრივი შეზ ღ უდვა;

გ[2]) გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნისათვის სამომავლო ქონება არ გამხდარა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და შემოტანილი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე.

დ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5. გირავნობის მოწმობაში აისახება:

ა) მოგირავნის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) დამგირავებლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) გირავნობის რეგისტრაციის საფუძველი და თარიღი;

დ) დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ე) დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;

ვ) ინფორმაცია გირავნობის მოწმობის გაცემის დღისათვის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე აღრიცხული სამართლებრივი დატვირთვის შესახებ;

ზ) გირავნობის მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი;

თ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა და ბეჭედი.

6. დოკუმენტის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს გირავნობის მოწმობის შესრულებას დამცავი ან/და განმასხვავებელი ნიშნების მქონე ქაღალდის გამოყენებით.

7. სააგენტოში მოგირავნის მიერ გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნის მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია მოგირავნე.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №1115 - სსმ III, 10.09.2009, №111, მუხ.1264*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

## თავი II[1]
## ლიზინგის რეგისტრაციის, ლიზინგის რეგისტრაციის

## გაუქმების და ლიზინგის მოწმობის გაცემის წესი
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

### მუხლი 14[2]
1. სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ლიზინგის რეგისტრაციას სააგენტოში ლიზინგის გამცემზე რეგისტრირებულ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე (შემდეგში ამ თავის მიზნებისთვის – სატრანსპორტო საშუალება).

2. სააგენტო ამ თავით განსაზღვრული მიზნებისათვის უფლებამოსილია მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს (მათ შორის, საარქივო მასალები) და გასცეს ლიზინგის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს.

3. სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა ამ წესით განსაზღვრული დოკუმენტებისა, დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რაც აუცილებელია ლიზინგის რეგისტრაციის, ლიზინგის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების, ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების და ლიზინგის მოწმობის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

4. სააგენტოს მიერ ლიზინგის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული მატერიალური ან ელექტრონული დოკუმენტების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ლიზინგი რეგისტრირებულად ითვლება სააგენტოს მიერ რეგისტრაციის ჟურნალში ან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მისი რეგისტრაციისა და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების მომენტიდან.

6. ლიზინგის რეგისტრაციის საფასური გადაიხდება ლიზინგით გადასაცემი სატრანსპორტო საშუალების რაოდენობის შესაბამისად.

7. ლიზინგის რეგისტრაციისას სააგენტო არ არის პასუხისმგებელი ლიზინგის ხელშეკრულების მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსზე და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე. სააგენტო არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლიზინგის ხელშეკრულებაში ასახული გარემოებების დამადასტურებელ პირად.

8. დაინტერესებული პირის მიერ ლიზინგის რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადა განისაზღვრება რეგისტრაციის წიგნში ან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინფორმაციის ასახვიდან ერთი თვის ვადით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*

### მუხლი 14[3]
1. ლიზინგის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) განცხადება ლიზინგის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ლიზინგის წერილობითი ხელშეკრულება ან/და ლიზინგის ხელშეკრულების დანართი ან/და ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგით გადაცემა (შემდეგში – ლიზინგის ხელშეკრულება), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის 14[4] მუხლის მოთხოვნებს;

გ) ლიზინგის რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

2. სააგენტოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა, დამატებით უნდა იქნეს წარდგენილი ლიზინგის გამცემისა და

ლიზინგის მიმღების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე იურიდიული პირია – იურიდიული პირის რეგისტრაციის ამსახველი და მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრით ან მესამე პირზე უფლებამოსილების გადაცემის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტით.

3. თუ დაინტერესებული პირი ლიზინგის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმოდგენილ უნდა იქნეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3[1]. არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1[1] ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს თანხმობა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია, რაც დასტურდება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტით (შეფასების აქტი, დასკვნა ან სხვა).

4. სააგენტო უფლებამოსილია პირი გაათავისუფლოს ამ თავით განსაზღვრული მატერიალური სახის დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულებისაგან, თუ სააგენტოს მიერ ლიზინგის რეგისტრაციისათვის საჭირო გარემოებების დადგენა შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით, გარდა 14[5] მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი 14[4]

1. ლიზინგის რეგისტრაციისათვის სააგენტოში დაიშვება შემდეგი სახის ლიზინგის ხელშეკრულების წარდგენა:

ა) ლიზინგის ხელშეკრულება ან/და ლიზინგის ხელშეკრულებაზე ლიზინგის გამცემის და ლიზინგის მიმღების ხელმოწერა დამოწმებულია სანოტარო წესით;

ბ) ლიზინგის ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს (ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს) ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი აქვთ სააგენტოში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

გ) ლიზინგის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით, ავტორიზებული ლიზინგის გამცემის ელექტრონული განცხადების საფუძველზე.

2. ლიზინგის რეგისტრაციისათვის სააგენტოში წარდგენილ ლიზინგის ხელშეკრულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემისა, უნდა აღინიშნოს:

ა) ლიზინგის ხელშეკრულების შედგენის თარიღი და ნომერი;

ბ) მონაცემები ლიზინგის გამცემის, ლიზინგის მიმღების, წარმომადგენლის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ინფორმაცია უფლებამოსილების შესახებ);

გ) ლიზინგით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირებისათვის საჭირო სრულყოფილი მონაცემები;

დ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტით დადასტურებული ინფორმაცია ლიზინგის ხელშეკრულების დადების დროისთვის სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

3. ლიზინგის რეგისტრაციის შედეგად სააგენტოში აღირიცხება შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემები:

ა) ლიზინგის გამცემის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) ლიზინგის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

გ) ლიზინგის საგნის მესაკუთრის სადენტიფიკაციო მონაცემები;

დ) ლიზინგის რეგისტრაციის განხორციელების საფუძველი;

ე) ლიზინგის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემი;

ვ) ლიზინგის ხელშეკრულების შედგენის თარიღი და ნომერი;

ზ) ლიზინგის საგნის სარგებლობით უფლებით ლიზინგის მიმღებზე რეგისტრაციის შესახებ ლიზინგის მიმღების უფლების შესახებ ლიზინგის გამცემის და ლიზინგის მიმღების შეთანხმების თაობაზე, თუ ასეთ შეთანხმებას ითვალისწინებს ლიზინგის ხელშეკრულება.

4. ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ვალდებულები არიან ხელშეკრულებაში აღნიშნონ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს, ნოტარიუსის ან საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული (შესრულებული, დამოწმებული) დოკუმენტები (აქტები), რომლებითაც დასტურდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები.

5. სააგენტოში რეგისტრირებულ დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაციის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიზინგის საგნის აღწერილობაში მითითებულ უნდა იქნეს ტექნიკური ტალონის ნომერი და აგრეგატის ნომერი.

6. ხელშეკრულებაში ასახული, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გაცემული დოკუმენტის გაცემა წინ უნდა უსწრებდეს ლიზინგის ხელშეკრულების დადებას, მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

მუხლი $14^{5}$

1. სააგენტოსთან გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ავტორიზებული ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ელექტრონული განცხადების საფუძველზე განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაცია ან/და მიიღოს ლიზინგის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურება.

[1. სააგენტოსთან გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ავტორიზებული ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ელექტრონული საინფორმაციო ბარათის საფუძველზე განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაცია ან/და მიიღოს ლიზინგის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურება.*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

2. ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებაზე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ლიზინგის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ელექტრონული სახის განცხადება/მიმართვა, რომელიც უნდა შეიცავდეს:

[2. ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ლიზინგის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ელექტრონული სახის საინფორმაციო ბარათი, რომელიც უნდა შეიცავდეს:*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

ა) ლიზინგის ხელშეკრულების შედგენის თარიღსა და ნომერს;

ბ) მონაცემებს ლიზინგის გამცემის შესახებ;

გ) მონაცემებს ლიზინგის მიმღების შესახებ;

დ) ლიზინგის საგნის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მონაცემი მითითებული იყო ლიზინგის ხელშეკრულებაში ასახული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის შესახებ ლიზინგის გამცემის ელექტრონულ განაცხადში;

[დ) ლიზინგის საგნის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მონაცემი მითითებული იყო ლიზინგის ხელშეკრულებაში ასახული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის შესახებ ლიზინგის გამცემის ელექტრონულ დოკუმენტში;*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

ე) ინფორმაციას ლიზინგის საგნის სარგებლობის უფლებით ლიზინგის მიმღებზე რეგისტრაციის შესახებ ლიზინგის გამცემის და ლიზინგის მიმღების შეთანხმების თაობაზე, თუ ასეთ შეთანხმებას ითვალისწინებს ლიზინგის ხელშეკრულება.

[$2^{1}$. სააგენტოში წარდგენილი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო ბარათი ხელმოწერას ან/და შტამპს არ საჭიროებს.*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემებისა, ავტორიზებული ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია დოკუმენტბრუნვის სისტემის შესაბამის ველში მიუთითოს:

[3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემებისა, ავტორიზებული ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ელექტრონული სახის საინფორმაციო ბარათში მიუთითოს:*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

ა) მის მიერ ლიზინგის ხელშეკრულების დადებაზე ან/და მის გაუქმებაზე ან/და ლიზინგის რეგისტრაციაზე (მის გაუქმებაზე, შესწორების, ცვლილების ან/და დამატების შეტანაზე ან სხვა) მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მინიჭებული უფლებამოსილება. აღნიშნული უფლების რეალიზების შემთხვევაში ავტორიზებული ლიზინგის გამცემს ეხსნება ვალდებულება ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით მატერიალური დოკუმენტების წარდგენისას, დამატებით წარადგინოს სააგენტოში წარმომადგენელზე შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი მატერიალური სახის დოკუმენტი;

ბ) მის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თაობაზე მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ, თუ ამის შესახებ შეთანხმებას ითვალიწინებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით ელექტრონულ დოკუმენტში ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მიერ წარმომადგენლისა და მისი უფლებამოსილების, აგრეთვე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლებამოსილების მითითებას გააჩნია იურიდიული ძალა.

5. ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილებას სააგენტო იღებს ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ელექტრონული სახის განცხადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რის თაობაზე ლიზინგის გამცემს ეცნობება ელექტრონული სახით.

[5. ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილებას სააგენტო იღებს ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ელექტრონული სახის საინფორმაციო ბარათის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რის თაობაზე ლიზინგის გამცემს ეცნობება ელექტრონული სახით.*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

6. ერთი ელექტრონული სახის განცხადებით/მიმართვით შესაძლებელია ლიზინგის რეგისტრაციის განხორციელების მოთხოვნა მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე.

7. ლიზინგის რეგისტრაციის თაობაზე ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში ავტორიზებული ლიზინგის გამცემი ვალდებულია სააგენტოში წარადგინოს:

ა) ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული მატერიალური სახის დოკუმენტები (თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);

3 1

ბ) 14 მუხლის 3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი, თუ ლიზინგის გაცემა ხორციელდება არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან წარმოდგენილი მატერიალური დოკუმენტების ელექტრონულ დოკუმენტში არსებულ მონაცემებთან არსებითი შეუსაბამობის, ან წერილობითი ფორმის ლიზინგის ხელშეკრულების ამ წესის 14[4] მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ლიზინგის რეგისტრაცია იურიდიული ძალა არ გააჩნია, ხოლო ლიზინგი ჩაითვლება დაურეგისტრირებლად.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი კარგავს ლიზინგის რეგისტრაციისათვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას.

10. სააგენტოს მერ ავტორიზებული ლიზინგის გამცემის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტის მიხედვით, თუ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოება.

11. ავტორიზებული ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ლიზინგით გადასაცემი სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა მოითხოვოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით, რისთვისაც ელექტრონული სახის განცხადება/მიმართვა უნდა შეიცავდეს ლიზინგის საგნის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს.

[11. ავტორიზებული ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ლიზინგით გადასაცემი სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა მოითხოვოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით, რისთვისაც წარდგენილი ელექტრონული სახის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ლიზინგის საგნის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს. *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი თავისუფლდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 14[6]**

1. სააგენტო ახორციელებს ლიზინგის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას, თუ ცვლილება იწვევს სააგენტოში რეგისტრირებულ ლიზინგის მონაცემში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც არ წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების ლიზინგით თავიდან გადაცემას.

2. ლიზინგის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მატერიალური ან/და ელექტრონული შემდეგი დოკუმენტის საფუძველზე:

ა) ლიზინგის გამცემის განცხადება;

[ა) ლიზინგის გამცემის განცხადება, ხოლო ამ წესის 14[5] მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში – ელექტრონული სახის საინფორმაციო ბარათი;*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

ბ) ხელშეკრულება, რაც იწვევს ლიზინგის რეგისტრაციაში ცვლილებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

3. ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ვალდებულები არიან ლიზინგის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნონ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს, ნოტარიუსის ან საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული (შესრულებული, დამოწმებული) დოკუმენტები (აქტები), რომლებითაც დასტურდება ამ წესის 14[4] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები.

4. სააგენტო ვალდებულია გაასწოროს მის მიერ ლიზინგის რეგისტრირებულ მონაცემებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც გამოწვეულია დოკუმენტაციიდან მონაცემის უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვლება ასევე ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 14[7]**

სააგენტოს უფლება აქვს უარი განაცხადოს ლიზინგის რეგისტრაციაზე, თუ:

ა) წარმოდგენილი მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტები არ აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობითი ფორმის ლიზინგის ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს ამ წესის 14[4] მუხლის მოთხოვნებს;

გ) რეგისტრაციის მომენტისათვის ლიზინგის საგანზე აღრიცხულია უფლებრივი შეზღუდვა (ყადაღა, ძებნა ან სხვა უფლებრივი შეზღუდვის გადაწყვეტილება);

დ) ლიზინგის ხელშეკრულება არ მოიცავს ლიზინგით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;

ე) ლიზინგის რეგისტრაციის მომენტისათვის წარმოდგენილ მატერიალურ ან/და ელექტრონულ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციას;

ვ) სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაცია მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა ან არ იქნა გადახდილი მომსახურების საფასური;
ზ) ლიზინგის საგანი არ არის რეგისტრირებული ლიზინგის გამცემზე;
თ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

**მუხლი $14^8$**
1. ლიზინგის რეგისტრაცია უქმდება:
ა) ლიზინგის გამცემის მიერ მატერიალური ან ელექტრონული განცხადებით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე;
ბ) ლიზინგის მიმღების მოთხოვნის საფუძველზე, თუ განცხადებას ლიზინგის რეგისტრციის გაუქმების შესახებ თან ერთვის ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობა;
გ) ლიზინგის საგნის რეგისტრაციიდან მოხსნის გამო;
დ) ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევაში;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.
2. ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგანზე ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის ან გაუქმებაზე უარის თქმის მართლზომიერებაზე ან/და მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია ლიზინგის გამცემი.
3. სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან/და დაადგინოს ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების (წერილობითი თანხმობა) წარდგენის უფლებამოსილების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

**მუხლი $14^9$**
1. სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაციის არსებობისას ლიზინგის გამცემის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ლიზინგის მიმღების მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $580^6$ მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლიზინგის გამცემის განცხადების საფუძველზე სააგენტო გასცემს ლიზინგის მოწმობას.
2. ლიზინგის მოწმობა (დანართი 2) არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც დასტურდება სააგენტოში სატრანსპორტო საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაციის ფაქტი და რომლის საფუძველზედაც ლიზინგის გამცემს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს, უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს ლიზინგის საგნის მისთვის მფლობელობაში დაბრუნება.
3. ლიზინგის მოწმობის მისაღებად ლიზინგის გამცემმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:
ა) ლიზინგის გამცემის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ლიზინგის მოწმობის მიღებაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $580^6$ მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ლიზინგის მოწმობის გაცემის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. ლიზინგის მოწმობა არ გაიცემა, თუ:
ა) ლიზინგი არ არის რეგისტრირებული სააგენტოში;
ბ) წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
გ) ლიზინგის რეგისტრაცია გაუქმებულია;
დ) მოთხოვნის მომენტისათვის ლიზინგის საგანზე აღრიცხულია უფლებრივი შეზღუდვა, როგორც ლიზინგის მიმღებზე სარგებლობის უფლებით რეგისტრირებულ ქონებაზე;
ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
5. ლიზინგის მოწმობაში აისახება:
ა) ლიზინგის გამცემის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;
ბ) ლიზინგის მიმღების სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) ლიზინგის რეგისტრაციის საფუძველი და თარიღი;
დ) ლიზინგის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
ე) ლიზინგის საგნის მესაკუთრის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;
ვ) ინფორმაცია ლიზინგის მოწმობის გაცემის დღისათვის სატრანსპორტო საშუალებაზე აღრიცხული უფლებრივი შეზღუდვისა და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ;
ზ) ლიზინგის მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი;
თ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა და ბეჭედი.
6. დოკუმენტის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს ლიზინგის მოწმობის შესრულებას დამცავი ან/და განმასხვავებელი ნიშნების მქონე ქაღალდის გამოყენებით.
7. სააგენტოში ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მოწმობის გაცემის მოთხოვნის

მართლზომიერებაზე პასუხისმგებელია ლიზინგის გამცემი.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

**მუხლი 14[10]**

1. ლიზინგის გამცემის მიერ ამ წესის 14[9] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება ადრესატისათვის:

ა) დოკუმენტის პირადად ხელზე ჩაბარება, რაც დამოწმებული უნდა იყოს ადრესატის ხელმოწერითა და ჩაბარების თარიღით;

ბ) კურიერის ან ფოსტის მეშვეობით დოკუმენტის ჩაბარება, რაც უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით;

გ) ხელშეკრულებით დადგენილი წესით დოკუმენტის ელექტრონული ფოსტის ან ფაქსით გაგზავნა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით მოწოდებული გზავნილით;

დ) მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა განსხვავებული წესით ჩაბარება, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2. თუ ლიზინგის მიმღების ადგილსამყოფელი უცნობია ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება სხვაგვარად ვერ ხერხდება, ლიზინგის გამცემმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება საჯარო შეტყობინების გზით – იმ გზით ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით, რომელიც გავრცელებულია ლიზინგის მიმღების რეგისტრაციის ან საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში. ამასთან, დოკუმენტი მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მე-7 დღეს.

3. სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების ან ინფორმაციის ნამდვილობა.

4. სააგენტოში ლიზინგის გამცემის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დოკუმენტის ან ინფორმაციის მომწოდებელ პირს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

**[თავი II[2]**
**ცნობის გაცემის ზოგადი მოთხოვნები(*ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან*)]**

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 14[11]**

1. ცნობის გაცემისათვის დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების სააგენტოში წარდგენა დასაშვებია:

ა) მატერიალური სახით;

ბ) ელექტრონული სახით, თუ:

ბ.ა) დოკუმენტი დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით;

ბ.ბ) დოკუმენტი წარდგენილია ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ, ამ წესის III[3] თავით გათვალისწინებული წესით;

ბ.გ) დოკუმენტი წარდგენილია ავტორიზებული მომხმარებლის მიერ ან მისი მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, ამ წესის II და II[1] თავებითა და 18[1] მუხლით განსაზღვრული მომსახურების მიღების მიზნებისათვის.

2. დაინტერესებული პირი, რომელიც სააგენტოს მიმართავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილია შესაბამისი ცნობის გაცემასთან ერთად მოითხოვოს მისი უცხოურ ენაზე თარგმნა და ცნობისა და მისი ნათარგმნი დოკუმენტის ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარდგენილი ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს არ საჭიროებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს, დაზუსტების მიზნით, დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მოთხოვნა განუხილველად დატოვოს.

6. ცნობის გაცემისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვისათვის, აგრეთვე, მომსახურების გაწევისათვის დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისათვის გახარჯული დრო.
7. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტები სააგენტოს უნდა წარედგინოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის პასპორტი ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს ამ პირის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.
8. სააგენტო უფლებამოსილია ცნობის გაცემაზე უარის თქმის, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის ან ცნობის გაცემის მოთხოვნის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილებები მოამზადოს და გასცეს მატერიალურად ან ელექტრონულად, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება ამ წესის $14^{13}$ მუხლით განსაზღვრული დებულებები.
9. ცნობის მისაღებად სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში დაინტერესებული პირის გამოცხადების ვალდებულების, აგრეთვე, ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ წესით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება ცნობის მატერიალური ფორმითა და ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობის მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) სახით შექმნის შემთხვევებზე.*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი $14^{12}$**
1. ცნობა იქმნება და გაიცემა ელექტრონული ფორმით და წარმოადგენს ელექტრონულ დოკუმენტს, რომელიც დასტურდება სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით/კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. ელექტრონული სახით ცნობის გაცემა, გაცნობა და ჩამოტვირთვა ხორციელდება:
ა) სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის – www.sa.gov.ge მეშვეობით, ხოლო თუ დაინტერესებული პირი ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტია, აგრეთვე, სააგენტოს მობილური აპლიკაციის მეშვეობით;
ბ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, თუ დაინტერესებული პირი ავტორიზებული მომხმარებელია.
3. დაინტერესებული პირისათვის ელექტრონული სახის ცნობა ჩაბარებულად ჩაითვლება სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით დოკუმენტის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში/პროგრამულ უზრუნველყოფაში განთავსებისთანავე/ატვირთვისთანავე.
4. უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, აგრეთვე, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული წესით, სააგენტოს მიერ შესაძლებელია ასევე დამზადდეს მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) სახით.
5. ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობისა და ნათარგმნი დოკუმენტის მატერიალურ ამონაბეჭდს (ელექტრონული დოკუმენტის ასლს) ხელს აწერს და ადასტურებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი.
6. ცნობა ასევე შესაძლებელია შეიქმნას და გაიცეს მატერიალური ფორმით, სააგენტოს დირექტორის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში ან როდესაც ფორსმაჟორული გარემოებების ან/და ტექნიკური შეფერხების გამო შეუძლებელია კანონით დადგენილი წესით ელექტრონული დოკუმენტის შექმნა.
7. ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობის ლეგალიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემის შემდეგ ცნობა სააგენტოს მიერ ასევე მზადდება მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) სახით.
8. აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზაციას დაქვემდებარებული ცნობის უცხოურ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტი იქმნება იმ ფორმ(ებ)ით, რა ფორმ(ებ)ითაც შეიქმნა/დამზადდა ცნობა.
9. ცნობა შესაძლებელია შეიქმნას და გაიცეს, ხოლო ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობის მატერიალური ამონაბეჭდი (ელექტრონული დოკუმენტის ასლი) დადასტურდეს ამ მუხლის პირველი-მე-7 პუნქტებისაგან განსხვავებული წესით, თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

მუხლი 14[13]
1. სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.sa.gov.ge ელექტრონული ფორმით გაცემული ცნობის ჩამოტვირთვა და გაცნობა შესაძლებელია სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირისათვის წერილობითი, მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით გადაცემული, სააგენტოს მიერ განსაზღვრული იდენტიფიკატორის გამოყენებით.
2. ელექტრონული ფორმით შესრულებული ცნობა, რომელსაც დართული აქვს კვალიფიციური ელექტრონული შტამპი/კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში ინახება გაცემიდან 3 თვის განმავლობაში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ცნობა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და მობილურ აპლიკაციაში ინახება და მისი ჩამოტვირთვა და გაცნობა შესაძლებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გარეშე. *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)].*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი III

## ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემის წესი

### მუხლი 15
1. ნასამართლობის შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების ან/და სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის ნასამართლობისა და ძებნის შესახებ.
2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემებისა, დამატებით აღრიცხულია ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უცხო სახელმწიფოში გასამართლების შესახებ, ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა დანართთან ერთად, რომელშიც აისახება აღნიშნული ინფორმაცია.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

### მუხლი 16
1. ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა:
ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;
ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის (ან ამ დოკუმენტის ასლის) საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;
გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით;
დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით.
2. ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი);
ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;
დ) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან.
3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.
4. დაინტერესებული პირი ვალდებულია, ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს

სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

5. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს, დაზუსტების მიზნით, უფლება აქვს მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება სააგენტომ შეიძლება განახორციელოს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი მოთხოვნის ვებგვერდზე განთავსების (ატვირთვა) გზით.

[5. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[6. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

7. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებით დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენისათვის გახარჯული დრო.

[7. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

8. ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლის სამართლის დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, დეპარტამენტი ასეთი პირისათვის სასამართლოს განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებს და მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, როდესაც ამ გზითაც ვერ დასტურდება განაჩენის არსებობა, სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც გაიცემა ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

10. თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ იძებნება ინფორმაცია გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პირისათვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის აღსრულების თაობაზე, დეპარტამენტი ასეთი ინფორმაციის მოძიების მიზნით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო). თუ აღსრულების ეროვნული ბიუროსგან მოპოვებული ინფორმაციით ვერ დასტურდება ამ პირის მიმართ სააღსრულებო წარმოების დაწყების/მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია და ამასთან, გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ვადა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სააგენტოს აწვდის ინფორმაციას პირის ნასამართლობის არქონის შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №728 - ვებგვერდი, 23.09.2014წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 04.03.2016წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის ბრძანება №137 - ვებგვერდი, 22.09.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## მუხლი 17

ნასამართლობის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;

დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ ნასამართლობასთან ან/და ძებნასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;

ე) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა

სუბიექტის ან/და მესამე პირის იდენტიფიცირება;

ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან;

ზ) მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია;

თ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

## თავი III[1]
## საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

### მუხლი17[1]

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა შეიძლება გაიცეს:

ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის (ან ამ დოკუმენტის ასლის) საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით.

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი);

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

დ) მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

5. დაინტერესებული პირი ვალდებულია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

6. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;

დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-

გადმოკვეთასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;
ე) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან/და მესამე პირის იდენტიფიცირება;
ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით დადგენილი საფასური;
ზ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

7. თუ მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა დასაშვებია:
ა) მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მოთხოვნით ან მათი წერილობითი თანხმობით;
ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს, დაზუსტების მიზნით, უფლება აქვს მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება სააგენტომ შეიძლება განახორციელოს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი მოთხოვნის ვებგვერდზე განთავსების (ატვირთვა) გზით.

[8. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[9. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

10. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებით დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენისათვის გახარჯული დრო.

[10. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

11. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი III$^2$
## პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემის წესი
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

### მუხლი 17$^2$
1. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ.

2. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემისათვის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
გ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;
დ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება;
ე) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით დადგენილი საფასური;
ვ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

4. დაინტერესებული პირი ვალდებულია, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, ცნობის შემდგომი გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ხელახალი მომსახურების განხორციელების გზით).

5. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს, დაზუსტების მიზნით, უფლება აქვს მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ვებგვერდზე განთავსებული (ატვირთული) განცხადების საფუძველზე, ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება სააგენტომ შეიძლება განახორციელოს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი მოთხოვნის ვებგვერდზე განთავსების (ატვირთვა) გზით.

[5. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[6. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

7. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებით დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენისათვის გახარჯული დრო.

[7. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

8. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი III$^3$
## ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევის წესი
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

### მუხლი 17$^3$
1. ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების გაწევის მოთხოვნისათვის სავალდებულოა:
ა) მონაცემთა სუბიექტის ვებგვერდზე რეგისტრაცია;
ბ) რეგისტრაციის დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება (თანხმობის გაცხადებად მიიჩნევა ვებგვერდზე, შესაბამის ფანჯარაში ღილაკის – „დიახ“ დაჭერა).

2. ვებგვერდზე დარეგისტრირებული მონაცემთა სუბიექტის შემდგომი ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მითითებით.

3. ავტორიზაციის შემდგომ, მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს, ვებგვერდზე ელექტრონული ფორმის განცხადების განთავსების (ატვირთვა) გზით მოითხოვოს:
ა) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
ბ) ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;
გ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა – გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;
დ) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;
ე) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;

ვ) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;

ვ[1]) უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;

ვ[2]) ამ წესის „III[6]“ თავით განსაზღვრული ცნობების გაცემა;

ზ) მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემა;

თ) ამ პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების უცხოურ ენაზე თარგმნა;

ი) ამ პუნქტის „ა“-„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება.

4. ავტორიზებულმა მონაცემთა სუბიექტმა მომსახურების გაწევისათვის სააგენტოს ვებგვერდზე უნდა განათავსოს (ატვირთოს):

ა) მომსახურების გაწევის თაობაზე ელექტრონული სახის განცხადება (მითითებული უნდა იქნეს იმ მომსახურების სახეები, რომელთა მიღებაც მას სურს);

ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, თუ ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი სააგენტოში მატერიალური სახის დოკუმენტის მიღებას უზრუნველყოფს წარმომადგენლის მეშვეობით. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებად ჩაითვლება ვებგვერდის შესაბამის ველში მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების განთავსება (ატვირთვა);

გ) სააგენტოს ის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც უნდა განხორციელდეს მატერიალური სახის დოკუმენტის გაცემა;

დ) მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ ვებგვერდზე განთავსებულ (ატვირთულ) განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ამ მუხლით დადგენილი წესით მომსახურების გაწევის შედეგად დამზადებული მატერიალური სახის დოკუმენტი სააგენტოს მიერ გაიცემა:

ა) ავტორიზებულ მონაცემთა სუბიექტზე;

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირზე;

გ) ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ ვებგვერდზე მითითებულ საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმახორციელებელ დაწესებულებაზე (ამ დაწესებულების თანამშრომელზე).

6. სააგენტო არ უზრუნველყოფს მომსახურების გაწევის შედეგად გაცემული მატერიალური სახის დოკუმენტის ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტისათვის (ან სხვა ადრესატისათვის) გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

7. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მონაცემთა სუბიექტსა და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს შორის მიღწეული შეთანხმების შინაარსსა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე, აგრეთვე აღნიშნული პირების მიერ მათთვის დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერ და არაჯეროვან შესრულებაზე.

8. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ვებგვერდზე განთავსებული (ატვირთული) მონაცემების ნამდვილობა.

9. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ვებგვერდზე განათავსოს მომსახურების გაწევის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, შეცდომის, უზუსტობის, ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მხრიდან უკანონო ქმედების განხორციელების ან სხვა მიზეზის გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან სააგენტოს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს მონაცემთა სუბიექტის ავტორიზაცია/რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ იგი მოქმედებს ამ დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით;

დ) უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ მონაცემთა სუბიექტი ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას, ან არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები;

ე) გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

10. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას მონაცემთა სუბიექტი ვალდებულია:

ა) დაიცვას მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესები და პროცედურები;

ბ) მომსახურების გაწევამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდა;

გ) მიიღოს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან მომსახურების გაწევის შედეგად გაცემული (დამზადებული) დოკუმენტი;

დ) მომსახურების გაწევისას მოითხოვოს მხოლოდ მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება;

ე) ზუსტად და სრულყოფილად შეავსოს ველებში მითითებული შესაბამისი მონაცემები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*

## [თავი III[3]
## ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევის წესი *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

მუხლი 17[3]

1. ავტორიზებულ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდისა და სააგენტოს მობილური აპლიკაციის მეშვეობით სააგენტოს წარუდგინოს ელექტრონული დოკუმენტი და მოითხოვოს მის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების დამუშავების შედეგად:
ა) ცნობის გაცემა;
ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის უცხოურ ენაზე თარგმნა;
გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება.
2. ავტორიზებულმა მონაცემთა სუბიექტმა მომსახურების გაწევისათვის სააგენტოში წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტში უნდა მიუთითოს:
ა) მომსახურება, რომლის მიღებაც მას სურს;
ბ) სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა;
გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ელექტრონული დოკუმენტის, ასევე მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) სახით დამზადების შემთხვევაში (ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის ან ამ წესის 14[12] მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში), აგრეთვე:
გ.ა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (პირადი ნომერი და დაბადების თარიღი), თუ ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი სააგენტოში ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) მიღებას უზრუნველყოფს წარმომადგენლის მეშვეობით. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებად ჩაითვლება მის მიერ წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტში მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შევსება;
გ.ბ) სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ავტორიზებულ მონაცემთა სუბიექტს სურს ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) მიღება (სტრუქტურული ერთეულის არჩევა ხდება ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებული ჩამონათვალიდან);
გ.გ) საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების მონაცემები, თუ ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი სააგენტოში ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) მიღებას უზრუნველყოფს საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულების მეშვეობით.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას სააგენტოს მიერ გამოიყენება ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციისას შენახული შესაბამისი მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი და სხვა).
4. ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი ვალდებულია ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურად გენერირებული საფასურის გადახდის ველის მეშვეობით, ელექტრონული სისტემის მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთში, ელექტრონულად გადაიხადოს სააგენტოს მომსახურების საფასური.
5. ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ სააგენტოში წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტში აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომსახურების გაწევის შედეგად დამზადებული ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდი (ელექტრონული დოკუმენტის ასლი) სააგენტოს მიერ გაიცემა:
ა) ავტორიზებულ მონაცემთა სუბიექტზე;
ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირზე;
გ) ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მიერ წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტში მითითებულ საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმახორციელებელ დაწესებულებაზე (ამ დაწესებულების თანამშრომელზე).
6. სააგენტო არ უზრუნველყოფს მომსახურების გაწევის შედეგად დამზადებული ელექტრონული

დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდის (ელექტრონული დოკუმენტის ასლის) ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტისათვის (ან სხვა ადრესატისათვის) გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

7. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი ავტორიზებულ მონაცემთა სუბიექტსა და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს შორის მიღწეული შეთანხმების შინაარსსა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე. აგრეთვე, აღნიშნული პირების მიერ მათთვის დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერ და არაჯეროვან შესრულებაზე.

8. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ან სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში განთავსებული (ატვირთული) მონაცემების ნამდვილობა.

9. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას სააგენტო უფლებამოსილია:

ა) სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ან სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში განათავსოს მომსახურების გაწევის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, შეცდომის, უზუსტობის, ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მხრიდან უკანონო ქმედების განხორციელების ან სხვა მიზეზის გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდს, სააგენტოს მობილურ აპლიკაციას ან სააგენტოს;

გ) უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას ან არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები;

დ) გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

10. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტი ვალდებულია:

ა) დაიცვას მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესები და პროცედურები;

ბ) მომსახურების გაწევამდე უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდა;

გ) სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან მიიღოს მომსახურების გაწევის შედეგად ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამზადებული ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ამონაბეჭდი (ელექტრონული დოკუმენტის ასლი);

დ) მომსახურების გაწევისას მოითხოვოს მხოლოდ მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება;

ე) მის მიერ წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტში ზუსტად და სრულყოფილად შეავსოს შესაბამისი მონაცემები.***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი III$^{4}$
## პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 04.03.2016წ.*

### მუხლი 17$^{4}$

პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 04.03.2016წ.*

### მუხლი 17$^{5}$

1. პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა გაიცემა:

ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის (ან ამ დოკუმენტის ასლის) საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით.

2. პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი);

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელიდოკუმენტები;

გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი)ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველიპუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულიმესამე პირის მოთხოვნით;

დ) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან.

3.სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

4. დაინტერესებული პირი ვალდებულია, პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

5. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს დაზუსტების მიზნითმოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა.

[5. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტოდაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[6. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

7. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისათვის გახარჯული დრო.

[7. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

8. პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლის სამართლის დევნადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, დეპარტამენტი ასეთი პირისათვის სასამართლოს განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში – შესაბამის უწყებებს და მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, თუ ამ გზითაც ვერ დასტურდება განაჩენის არსებობა, სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით გაიცემა ცნობა მსჯავრდების არქონის შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 04.03.2016წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

### მუხლი 17$^{6}$

პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;

დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ მსჯავრდებასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;

ე) დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა

სუბიექტის ან/და მესამე პირის იდენტიფიცირება;

ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან;

ზ) მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია;

თ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №77 - ვებგვერდი, 04.03.2016წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

## თავი III$^5$
## უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

### მუხლი 17$^7$

უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ფ$^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

### მუხლი 17$^8$

1. უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა გაიცემა:

ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით.

2. უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის: სახელი, გვარი, აგრეთვე პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

დ) მესამე პირის მიერ წარმოდგენილი სანოტარო აქტით დამოწმებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

ე) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან.

3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით წარდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის

დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[4. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

5. უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი ვალდებულია, პირის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

6. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისათვის გახარჯული დრო.

[6. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

7. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ასეთი პირისათვის სასამართლოს განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში – შესაბამის უწყებებს და მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, თუ ამ გზითაც ვერ დასტურდება განაჩენის არსებობა, სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით გაიცემა ცნობა უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

### მუხლი $17^9$

უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;

დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა, გარდა $17^8$ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;

ე) წარდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან/და დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;

ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან;

ზ) მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია;

თ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

## თავი $III^6$
## „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ$^4$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცნობის სახით გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

მუხლი $17^{10}$

1. ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „$ჰ^4$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან ცნობის სახით გასცეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა;

ბ) იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობაში აისახება ინფორმაცია იურიდიული პირის (სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი უფლებამონაცვლე)) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, აგრეთვე, დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

მუხლი $17^{11}$

1. $17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა გაიცემა:

ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით.

2. $17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის გაცემისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის: სახელი, გვარი, აგრეთვე პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

დ) მესამე პირის მიერ წარმოდგენილი სანოტარო აქტით დამოწმებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

ე) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან.

3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით წარდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს, დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

5. $17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი ვალდებულია, $17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება

კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

6. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისათვის გახარჯული დრო.

7. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ასეთი პირისათვის სასამართლოს განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებს და მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, როდესაც ამ გზითაც ვერ დასტურდება განაჩენის არსებობა, სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც გაიცემა ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

### მუხლი 17[12]

1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა გაიცემა:

ა) იურიდიული პირის მოთხოვნით, თავის შესახებ არსებული ინფორმაციის თაობაზე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის სამართალმემკვიდრის, უფლებამონაცვლის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით;

გ) ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით.

2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება იურიდიული პირის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი წესით ნათარგმნი და დამოწმებული, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტის და რეგისტრირებული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ იურიდიული პირი, რომლის შესახებაც უნდა გაიცეს ცნობა უცხო ქვეყანაშია რეგისტრირებული;

გ) სამართალმემკვიდრეობის, უფლებამონაცვლეობის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მოთხოვნით;

დ) უფლებამოსილი პირის წერილობითი თანხმობა, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მოთხოვნით;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ დაინტერესებული პირი ფიზიკური პირია;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით წარდგენილი დოკუმენტი არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. ამ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი ვალდებულია ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად.

6. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისათვის გახარჯული დრო.

7. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ იძებნება ამ საქმეზე განაჩენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის უწყებებს. თუ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ ვერ დადასტურდა განაჩენის არსებობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა ცნობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის შესახებ.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი $17^{13}$

$17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცნობა გაიცემა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „$ო^3$“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „$კ^1$“ ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

### მუხლი $17^{14}$

$17^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;
ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ $17^{10}$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ნასამართლობასთან ან/და მებნასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა, გარდა $17^{11}$ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;
ე) წარმოდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან/და დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;
ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან;
ზ) მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია;
თ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

### მუხლი $17^{15}$

$17^{10}$ მუხლის პირველი  პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
ბ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
გ) ვერ ხერხდება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა, გარდა ამ წესის $17^{12}$ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;
დ) წარმოდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტებით ვერ ხორციელდება იურიდიული პირის ან/და დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;
ე) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდისგან;
ვ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 18.07.2022წ.*

[თავი $III^6$

(ამოღებულია)

*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი III$^{7}$

## დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოსათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით მიმართვა

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი17$^{16}$

1. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის (შემდგომში - ერთიანი მომსახურების ცენტრი) მეშვეობით სააგენტოს მიმართოს შემდეგი მომსახურებების გაწევის თაობაზე:
ა) ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;
ბ) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;
გ) უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;
დ) მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემა;
ე) სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
ვ) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
ზ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;
თ) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;
ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობის გაცემა.
2. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით სააგენტოს მიმართოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ი“, ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების დაჩქარებული წესით გაწევის თაობაზე.
3. მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოსათვის ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით მიმართვის უფლება აქვს ამ წესით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მოთხოვნის მქონე დაინტერესებულ პირს.
4. ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით სააგენტოსთვის მიმართვის შემდეგ, სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს ამ წესის შესაბამისად.
5. ამ თავით განსაზღვრული ცალკეული საკითხების (მათ შორის ინფორმაციის გაცვლასთან, მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან, მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული და სხვა საკითხების) დეტალურად მოწესრიგების მიზნით ერთიანი მომსახურების ცენტრსა და სააგენტოს შორის შესაძლებელია დაიდოს ხელშეკრულება (შეთანხმება).
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი17$^{17}$

1. ამ თავით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სააგენტო უზრუნველყოფს:
ა) ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ დაინტერესებული პირის განცხადების მიღებისა და კომპიუტერული პროგრამის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით სააგენტოსათვის შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდების საფუძველზე, შესაბამისი მომსახურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნის, ასევე მომსახურების გაწევისას შესრულებული დოკუმენტების (მათ შორის ცნობის) ერთიანი მომსახურების ცენტრისათვის გადაგზავნას კომპიუტერული პროგრამის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით (გარდა ამ თვით განსაზღვრული შემთხვევებისა);

გ) ერთიანი მომსახურების ცენტრის მომარაგებას შესაბამისი ცნობის ბლანკებით;
დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას, რაც აუცილებელია დაინტერესებული პირებისათვის მომსახურების გაწევისათვის.
2. ამ თავით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ერთიანი მომსახურების ცენტრსა და სააგენტოს შორის კავშირი ხორციელდება ამ მიზნით შექმნილი სააგენტოს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (შემდგომში – კომპიუტერული პროგრამა) საშუალებით. დაინტერესებული პირის მიერ, ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით, მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების ელექტრონული სახით სააგენტოსათვის წარდგენისათვის, ასევე სააგენტოს მიერ ერთიანი მომსახურების ცენტრისთვის დოკუმენტების ელექტრონული სახით გადაგზავნისათვის, გარდა კომპიუტერული პროგრამისა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის სხვა დაცული საშუალება (შემდგომში - ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალება).
3. ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას, სააგენტო დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით, ერთიანი მომსახურების ცენტრისათვის შესაბამისი ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის გადაგზავნის გზით. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციისათვის ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის სხვა საშუალება (მოკლეტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, ფოსტა და ა.შ).
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

## მუხლი17[18]

1. დაინტერესებული პირის მიერ 17[16] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოსათვის ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით მიმართვის შემთხვევაში, ერთიანი მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს:
ა) დაინტერესებული პირის ინფორმირებას მოთხოვნილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების, წარმოსადგენი დოკუმენტების, გადასახდელი მომსახურების საფასურების ოდენობის, ასევე, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ;
ბ) მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების შემტანი დაინტერესებული პირის იდენტიფიკაციას;
გ) დაინტერესებული პირის მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილი დოკუმენტების ვიზუალურ დათვალიერებას, ხოლო დათვალიერების შედეგად დოკუმენტებში ჩანაწერების, ბეჭდების, შტამპების, ხელმოწერების შესაძლო გადაკეთებისა და გაყალბების, ან ფოტოსურათის შეცვლის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში - შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდებას;
დ) საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მასთან წარდგენილი განცხადებისა და სხვა დოკუმენტების, ასევე სააგენტოს მოთხოვნით დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის სააგენტოსათვის კომპიუტერული პროგრამის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალების მეშვეობით დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა, დადგენილი წესით გაგზავნას;
ე) სააგენტოს მიერ კომპიუტერული პროგრამის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით მისთვის გაგზავნილი ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის დაინტერესებული პირისათვის გაცნობას/გადაცემას, დაინტერესებული პირის მოთხოვნის ან ამ თავით განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტრონული დოკუმენტის ამობეჭდვას, ამონაბეჭდის დადგენილი წესით დამოწმებას ან/და დადასტურებასა და დაინტერესებული პირისათვის გადაცემას. ასევე ინფორმაციის/ელექტრონული დოკუმენტის დაინტერესებული პირისთვის გაცნობის/გადაცემის თაობაზე, დაუყოვნებლივ, (მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა) სააგენტოს ინფორმირებას;
ვ) დაინტერესებული პირის მიერ მატერიალური ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვასა და ერთი კალენდარული თვის განმავლობაში სააგენტოსთვის გადაცემას;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.
2. ამ თავით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ერთიანი მომსახურების ცენტრი უფლებამოსილია დადგენილი წესითა და მოცულობით დაამუშავოს (შეაგროვოს, გამოიყენოს, შეინახოს, გაანადგუროს და ა.შ) დაინტერესებული პირის პერსონალური მონაცემები, ასევე მონაცემთა ბაზებიდან მიიღოს პირის იდენტიფიცირებისათვის, განცხადების მისაღებად და სააგენტოს მიერ ელექტრონული ან მატერიალური ფორმით შესრულებული დოკუმენტის გასაცემად საჭირო სხვა ინფორმაცია.
3. თუ ერთიანი მომსახურების ცენტრი ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მისთვის გადაგზავნილი დოკუმენტების დაინტერესებული პირისათვის ადგილზე გაცნობას/გადაცემას (დოკუმენტების

მიღებაზე უარის თქმის ან სხვა მიზეზის გამო), იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ (მაგრამ არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა), კომპიუტერული პროგრამის საშუალებით აცნობოს სააგენტოს. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დოკუმენტების დაინტერესებული პირისათვის გაცნობა ხორციელდება ელექტრონული ფორმით, განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მატერიალური ფორმით, ფოსტის მეშვეობით დაინტერესებული პირის რეგისტრაციის ან განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე დოკუმენტის გაგზავნის გზით.
4. ერთიანი მომსახურების ცენტრი უფლებამოსილია პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დაამოწმოს ან/და დაადასტუროს, დაინტერესებული პირისათვის გადასაცემად, სააგენტოს მიერ მისთვის კომპიუტერული პროგრამის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით მიწოდებული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი. ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ დამოწმებული ან/და დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
5. დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების გაწევისათვის, ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით წარდგენილი მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ დამოწმებული ან/და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის გზით.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი17[19]

1. ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით 17[16] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად, სააგენტოსათვის მიმართვისას დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადება და მოთხოვნილი მომსახურების გაწევისათვის ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები. დოკუმენტების ერთიანი მომსახურების ცენტრთან წარდგენა ხორციელდება მატერიალური სახით, გარდა საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა, რომლის წარმოდგენაც დასაშვებია ასევე ელექტრონული სახით.
2. დაინტერესებული პირის მომართვის შემდეგ, ერთიანი მომსახურების ცენტრის უფლებამოსილი პირი კომპიუტერულ პროგრამაში ან/და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებაში ტვირთავს მატერიალური ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ავსებს კომპიუტერული პროგრამის შესაბამის ველებს.
3. სააგენტოში 17[16] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება იწყება დაინტერესებული პირის განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ დაინტერესებული პირის განცხადების მიღებისა და კომპიუტერული პროგრამის საშუალებით სააგენტოსათვის მოწოდების საფუძველზე.
4. ერთიანი მომსახურების ცენტრი დაინტერესებული პირის განცხადებას არ გზავნის სააგენტოში განსახილველად და აღნიშნულის თაობაზე აცნობებს დაინტერესებულ პირს, თუ:
ა) მომსახურების გაწევას ითხოვს არაუფლებამოსილი პირი;
ბ) დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს განცხადების წარმოდგენას;
გ) დაინტერესებული პირის მიერ არ არის გადახდილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და მოსაკრებელი;
დ) ვერ ხორციელდება დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;
ე) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოება.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი17[20]

1. თუ დაინტერესებული წარდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს უფლება აქვს დაზუსტების მიზნით ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით, დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს დროს, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენა.
3. თუ სააგენტოს მოთხოვნიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, დაინტერესებული პირი მოთხოვნილ

ინფორმაციას/დოკუმენტაციას სააგენტოში წარადგენს ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით.
4. თუ სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაინტერესებული პირი დადგენილი წესით არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.
5. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს:
ა) დოკუმენტების ელექტრონული სახით წარდგენა ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით;
ბ) დოკუმენტების მატერიალური სახით წარდგენა სააგენტოში;
გ) საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გარემოების დადგენის მიზნით, სააგენტოში გამოცხადება.
6. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის ათვლა დაიწყება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს მოთხოვნის სრულყოფილად შესრულების შემდგომ.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი$17^{21}$

1. დაინტერესებული პირის განცხადება არ დაკმაყოფილდება ან დარჩება განუხილველი, თუ:
ა) დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი;
ბ) დაინტერესებული პირი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს სააგენტოს ამ წესის $17^{20}$ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნას;
გ) გადახდილი არ არის მომსახურების საფასური;
დ) მომსახურების გაწევის თაობაზე სააგენტოს მიმართა არაუფლებამოსილმა პირმა;
ე) ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ხორციელდება მომსახურების გაწევა;
ვ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.
2. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დაინტერესებულ პირისათვის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ან განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი, სააგენტო დადგენილი წესით გასცემს $17^{16}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს (შემდგომში - შესაბამისი ცნობა), რომელიც დაინტერესებულ პირს შესაძლებელია გადაეცეს:
ა) ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით;
ბ) სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში;
გ) ფოსტის მეშვეობით.
3. მიუხედავად ცნობის გადაცემის/გაგზავნის საშუალებისა, შესაბამისი ცნობა გადაეცემა/ჰბარდება უშუალოდ დაინტერესებულ პირს.
4. შესაბამისი ცნობის გადაცემის/გაგზავნის კონკრეტული საშუალების გამოყენების თაობაზე უნდა მიეთითოს დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევის თაობაზე წარდგენილ განცხადებაში ან/და დაინტერესებული პირის ზეპირი მითითების საფუძველზე, ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ კომპიუტერულ პროგრამაში.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

### მუხლი$17^{22}$

1. ამ წესის $17^{21}$ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო შესაბამის ცნობას კომპიუტერული პროგრამის საშუალებით უგზავნის ერთიანი მომსახურების ცენტრს, რომელიც ამობეჭდავს და დაამოწმებს/დაადასტურებს მას ამ წესის $17^{18}$ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და გადასცემს დაინტერესებულ პირს.
2. ამ წესის $17^{21}$ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საშუალების შერჩევის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებაში ან მისი ზეპირი მითითების საფუძველზე, ერთიანი მომსახურების ცენტრის მიერ კომპიუტერულ პროგრამაში უნდა მიეთითოს სააგენტოს ის სტრუქტურული ერთეული, რომლიდანაც დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს ცნობის გატანას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია ცნობის მისაღებად სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადდეს არაუგვიანეს ცნობის დამზადებიდან 15 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ხოლო მომსახურება ჩაითვლება გაწეულად.

3. ამ წესის 17[21] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებაში ან მისი ზეპირი მითითების საფუძველზე, ერთიანი მომსახურების ცენტრის კომპიუტერულ პროგრამაში უნდა მიეთითოს სააგენტოს ის სტრუქტურული ერთეული, რომლიდანაც, ფოსტის მეშვეობით შესაბამისი ცნობის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს მის გამოტანას (შემდგომში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეული).
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

მუხლი17[23]

1. ამ თავით გათვალისწინებული მიზნებისათვის ფოსტის მეშვეობით ცნობა იგზავნება განცხადებაში ან/და კომპიუტერულ პროგრამაში მითითებულ მისამართზე, დაინტერესებული პირისა და სააგენტოს მიერ შეთანხმებულ დროს, მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების დასრულებიდან მე-5 სამუშაო დღისა.
2. გზავნილის ადრესატისათვის გადასაცემად საჭირო კომუნიკაციის დამყარების მიზნით სააგენტო უზრუნველყოფს განცხადებაში ან/და კომპიუტერულ პროგრამაში მითითებული მისამართის, დროისა და დაინტერესებული პირის ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას. აღნიშნულის თაობაზე პირს ეცნობება წინასწარ.
3. ფოსტის მეშვეობით ცნობა იგზავნება ერთჯერადად. ცნობის დაინტერესებული პირისათვის ფოსტის მეშვეობით ჩაუბარებლობის შემთხვევაში (მიუხედავად ჩაუბარებლობის მიზეზისა), ცნობა ბრუნდება სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ პირს შესაძლებელია გაეგზავნოს მის მიერ განცხადებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, მოკლეტექსტური შეტყობინების მეშვეობით.
4. ფოსტის მეშვეობით ცნობის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულია ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, არაუგვიანეს ცნობის დამზადებიდან 15 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ხოლო მომსახურება ჩაითვლება გაწეულად.
5. საფოსტო მომსახურების ხარჯი ეკისრება დაინტერესებულ პირს. შესაბამისი ცნობის დაინტერესებული პირისათვის ჩაუბარებლების შემთხვევაში საფოსტო ხარჯი დაინტერესებულ პირს არ უბრუნდება.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*

**[თავი III[8]**
**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[4]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცნობის სახით გაცემის წესი *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

მუხლი 17[24]
1. ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[4]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან ცნობის სახით გასცეს ინფორმაცია:
ა) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლებისა;
ბ) გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ;
გ) იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;
დ) სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ.
2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობაში აისახება ინფორმაცია იურიდიული პირის (სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი უფლებამონაცვლე)) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, აგრეთვე,

დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცნობები გაიცემა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ო[3]“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „კ[1]“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## მუხლი 17[25]

1. 17[24] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა გაიცემა:
ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;
ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;
გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით.
2. 17[24] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის გაცემისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;
დ) მესამე პირის მიერ წარდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;
ე) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.
3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.
4. 17[24] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი ვალდებულია, 17[24] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).
5. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ასეთი პირისათვის სასამართლოს განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უწყებებს და მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, როდესაც ამ გზითაც ვერ დასტურდება განაჩენის არსებობა, სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც გაიცემა ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.
6. 17[24] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;
ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
გ) საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ 17[24] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ნასამართლობასთან ან/და ძებნასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა, გარდა ამ მუხლის

მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;
ე) წარდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან/და დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;
ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან;
ზ) მონაცემთა სუბიექტი გარდაცვლილია;
თ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები. ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 17[26]**
1. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ.
2. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა:
ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;
ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის (ან ამ დოკუმენტის ასლის) საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;
გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით;
3. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის მიმართვა, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, მამის სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი);
ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;
დ) მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.
4. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.
5. დაინტერესებული პირი ვალდებულია, გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).
6. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და მოქმედებს უვადოდ.
7. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, დეპარტამენტი ასეთი გადაწყვეტილების მოძიების მიზნით მიმართავს შესაბამის საქმის მწარმოებელ ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს/უფლებამონაცვლეს (საგამოძიებო ორგანოს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის უწყებებს) და თუ მათგან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ ვერ დასტურდება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სააგენტოს აწვდის ინფორმაციას პირის მიმართ გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის არქონის თაობაზე,

რომლის საფუძველზეც გაიცემა ცნობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.
8. თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნება ინფორმაცია გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პირისათვის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის აღსრულების თაობაზე, დეპარტამენტი ასეთი ინფორმაციის მოძიების მიზნით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო). თუ აღსრულების ეროვნული ბიუროსგან მოპოვებული ინფორმაციით ვერ დასტურდება ამ პირის მიმართ სააღსრულებო წარმოების დაწყების/მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია და, ამასთან, გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ვადა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სააგენტოს აწვდის ინფორმაციას პირის მიერ გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის არქონის ფაქტის არარსებობის შესახებ.
9. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;
ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
გ) საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტის შესახებ გაქარწყლებულ ან/და მოხსნილ ნასამართლობასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;
ე) დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან/და მესამე პირის იდენტიფიცირება;
ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან;
ზ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები.
10. გაქარწყლებული ან/და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა არ შეიცავს ინფორმაციას პირის ნასამართლობისა და ძებნის თაობაზე. ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 17[27]**
1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა გაიცემა:
ა) იურიდიული პირის მოთხოვნით, მის შესახებ არსებული ინფორმაციის თაობაზე;
ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის სამართალმემკვიდრის, უფლებამონაცვლის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით;
გ) ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით.
2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება იურიდიული პირის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი;
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნათარგმნი და დამოწმებული, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტისა და რეგისტრირებული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ იურიდიული პირი, რომლის შესახებაც უნდა გაიცეს ცნობა, უცხო ქვეყანაშია რეგისტრირებული;
გ) სამართალმემკვიდრეობის, უფლებამონაცვლეობის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მოთხოვნით;
დ) უფლებამოსილი პირის წერილობითი თანხმობა, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მოთხოვნით;
ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ დაინტერესებული პირი ფიზიკური პირია;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

4. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დაინტერესებული პირი ვალდებულია ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად.
5. თუ პირის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ იძებნება ამ საქმეზე განაჩენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი განაჩენის მოძიების მიზნით მიმართავს საგამოძიებო ორგანოს ან მის სამართალმემკვიდრეს, საქართველოს პროკურატურას, სასამართლოს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის უწყებებს. თუ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ ვერ დადასტურდა განაჩენის არსებობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სააგენტოს აწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა ცნობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის შესახებ.
6. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
გ) ვერ ხერხდება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;
დ) წარდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტებით ვერ ხორციელდება იურიდიული პირის ან/და დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება;
ე) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან;
ვ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები. ***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი 17[28]**
1. სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე აისახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში აღრიცხული ინფორმაცია 2010 წლიდან დაინტერესებული პირის მიერ მითითებული პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ.
2. სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა შეიძლება გაიცეს:
ა) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/რეგისტრირებული მოსარგებლის მოთხოვნით, მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მის საკუთრებაში/სარგებლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
ბ) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/რეგისტრირებული მოსარგებლის:
ბ.ა) წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე
ბ.ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
ბ.გ) მემკვიდრის, უფლებამონაცვლის ან სამართალმემკვიდრის მოთხოვნით, მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
გ) სატრანსპორტო საშუალების გარდაცვლილი მესაკუთრის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან

მეუღლის მოთხოვნით ან რომელიმე მათგანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (თანხმობა არ არის საჭირო, თუ პირის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელზე მეტი), მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
დ) სამკვიდროს მიღებით დაინტერესებული პირის ან სამკვიდროს მმართველის მოთხოვნით, მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
ე) ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მოთხოვნით, მხოლოდ გირავნობის რეგისტრაციის, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების, გირავნობის მოწმობის გაცემის ან/და გირავნობის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის, დასაგირავებელი ან დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
ვ) მოგირავნის მოთხოვნით, მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის პერიოდში გირავნობით დატვირთული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
ზ) ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მოთხოვნით, მხოლოდ ლიზინგის რეგისტრაციის, ლიზინგის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების, ლიზინგის მოწმობის გაცემის ან/და ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის ლიზინგით გადასაცემი ან გადაცემული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე;
თ) ლიზინგის გამცემის მოთხოვნით, მხოლოდ ლიზინგის რეგისტრაციის პერიოდში ლიზინგით გადაცემული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ინფორმაციის თაობაზე.
3. სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაინტერესებული პირის მიმართვა, რომელშიც მითითებული იქნება:
ა.ა) სატრანსპორტო საშუალების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი სანომრე ნიშანი/უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სანომრე ნიშანი);
ა.ბ) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მონაცემების დამუშავება;
ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/რეგისტრირებული მოსარგებლის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ან „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;
დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება იმავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების მოთხოვნით;
ე) მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების/რეგისტრირებული სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უფლებამოსილი სამსახურების მიერ გაცემული ან დამოწმებული დოკუმენტები: ამონაწერი სატრანსპორტო საშუალების მოწმობიდან, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა, საკუთრების უფლების გადაცემის გარიგება, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის ბარათი, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა/დოკუმენტი, კონოსამენტი და სხვ.) რომლებშიც ასახულია ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების მონაცემების და მისი მესაკუთრის/რეგისტრირებული მოსარგებლის შესახებ).
4. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.
5. დაინტერესებული პირი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

6. სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და მოქმედებს უვადოდ.
7. სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:
ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;
ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
გ) საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;
დ) ვერ ხერხდება სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;
ე) დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით/ინფორმაციით ვერ ხორციელდება მესაკუთრის, მოსარგებლის, მესამე პირის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება;
ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია საფასურის გადახდის ვალდებულებისგან;
ზ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები.***(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)]***

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი IV
## სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

### მუხლი 18
1. ამ წესის მე-2 მუხლის „კ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ერთ სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში შესაძლებელია აისახოს მხოლოდ:
ა) ერთი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთ-ერთი რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული, დამუშავებული და სარეგისტრაციო ბაზაში ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემი მისი მესაკუთრის ან მოსარგებლის ვინაობის (საიდენტიფიკაციო მონაცემი) შესახებ;
ბ) რეგისტრაციის შედეგად, სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული ინფორმაცია ერთ მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე რეგისტრირებული ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა მექანიკური სატრანსპორტო საშულებების შესახებ (ინფორმაცია მიეთითება იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იქნეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების/საშუალებების იდენტიფიცირება);
გ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთ-ერთი რეგისტრაციის შედეგად სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხო) მონაცემი/მონაცემები, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემისა.
2. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული ინფორმაცია მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ შესაძლებელია, აისახოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, დამატებით ან გაიცეს ცალკე დოკუმენტის (ცნობის) სახით.
3. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში აისახება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემები.
4. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის განცხადებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ ბოლო სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემებზე დაყრდნობით.
5. ამ თავის მიზნებისათვის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემად მიიჩნევა „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემები.
6. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაიცემა:

ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მოსარგებლის მოთხოვნით, მხოლოდ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მის საკუთრებაში/სარგებლობაში რეგისტრაციის პერიოდში ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მოსარგებლის:

ბ.ა) წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ.ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ.გ) მემკვიდრის, უფლებამონაცვლის ან სამართლმემკვიდრის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

გ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრედ რეგისტრირებული გარდაცვლილი ფიზიკური პირის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მოთხოვნით ან რომელიმე მათგანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (თანხმობა არ არის საჭირო თუ პირის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელზე მეტი), ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ გარდაცვლილ პირზე რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

დ) სამკვიდროს მიღებით დაინტერესებული პირის ან სამკვიდროს მმართველის მოთხოვნით, მხოლოდ მამკვიდრებლის საკუთრებში რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ე) ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მოთხოვნით, მხოლოდ გირავნობის რეგისტრაციის, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების, გირავნობის მოწმობის გაცემის ან/და გირავნობის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის, დასაგირავებელი ან დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის (სააღრიცხვო) მონაცემების შესახებ;

ვ) მოგირავნის მოთხოვნით, მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის პერიოდში ასახული დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ზ) ავტორიზებული ლიზინგის გამცემის მოთხოვნით, მხოლოდ ლიზინგის რეგისტრაციის, ლიზინგის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების, ლიზინგის მოწმობის გაცემის ან/და ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის ლიზინგით გადასაცემი ან გადაცემული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის (სააღრიცხვო) მონაცემების შესახებ;

თ) ლიზინგის გამცემის მოთხოვნით, მხოლოდ ლიზინგის რეგისტრაციის პერიოდში ლიზინგით გადაცემული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

**მუხლი 18[1]**

1. სააგენტო უფლებამოსილია პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით გასცეს ამ წესით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა.

2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით გაცემის საფუძველს წარმოადგენს ავტორიზებული მომხმარებელის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით გაკეთებული განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ავტორიზებული მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელს, გვარს, პირად ნომერს ან იურიდიული პირის სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდს);

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ან/და მისი მესაკუთრის სრულყოფილი იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს;

გ) მითითებას მომსახურების მიღების ვადის შესახებ;

დ) ავტორიზებული მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდის დადასტურებას.

3. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის პროგრამული უზრუნველყოფის გზით მიღებისათვის საფასურის გადახდა ავტორიზებული მომხმარებლის მიერ ხორციელდება ელექტრონული გადახდის მეთოდით უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ავტორიზებული მომხმარებელი ვალდებულია მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინოს სააგენტოს მომსახურების მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ერთი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით გაკეთებული განცხადებით შესაძლებელია მხოლოდ ერთ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული ცნობის მიღება.

[5. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის პირობას წარმოადგენს იურიდიული პირის მოთხოვნა და სააგენტოსთან დადებული ავტორიზაციის შესახებ ხელშეკრულება. *(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 სექტემბრის ბრძანება №855 - სსმ III, №128, 06.10.2010, მუხ.1862*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

### მუხლი 19

სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ წესის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირი, რომლის უფლებამოსილებაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

### მუხლი 20

1. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს ამ წესის მე-18 მუხლით განსაზღვრული მისაღები ინფორმაციის სახე, აგრეთვე მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად – მესაკუთრის/მოსარგებლის (სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი ან პირადი ნომერი; იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი ან სამეწარმეო კოდი) ან/და სატრანსპორტო საშუალების (სახელმწიფო ნომერი ან/და საიდენტიფიკაციო (VIN) ნომერი ან ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი) საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან/და რწმუნება;

გ) მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების მიღებისათვის ამ წესის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დამადასტურებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტი;

დ) მომსახურების და დაჩქარებული მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაწევისათვის კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ განცხადებაში მითითებული იქნა არასრულყოფილი ინფორმაცია ან წარმოდგენილი ინფორმაციის საშუალებით ვერ ხერხდება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ან მისი მესაკუთრის ზუსტი იდენტიფიცირება, სააგენტოს უფლება აქვს ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მოითხოვოს განცხადებაში მითითებული მონაცემების დაზუსტება ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №902- ვებგვერდი, 03.12.2013 წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

### მუხლი 21

სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების გაწევა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა ან წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება მისი უფლებამოსილება;

ბ) არსებობს შეზღუდვა, რომელიც კრძალავს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შედეგად ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების გაცემას;

გ) არ იქნა გადახდილი მომსახურების და დაჩქარებული მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფასური;

დ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების გაწევის შემზღუდავი სხვა გარემოება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის ბრძანება №795 - სსმ III, 23.07.2008, № 104, მუხ.1164*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №1380 - სსმ III, 29.12.2008, №185, მუხ.1901*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

## თავი IV[1]
## იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

### მუხლი 21[1]

1. ამ წესის მე-2 მუხლის „ო.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ერთ იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში შესაძლებელია აისახოს მხოლოდ:

ა) ერთი იარაღის ერთ-ერთი რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული, დამუშავებული და სარეგისტრაციო ბაზაში ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემი, იარაღის მესაკუთრის ან მოსარგებლის ვინაობის ( საიდენტიფიკაციო მონაცემი) შესახებ;

ბ) რეგისტრაციის შედეგად, სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული ინფორმაცია ერთ მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე რეგისტრირებული ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა იარაღის (ასევე, მისი დამატებითი ძირითადი ელემენტების) შესახებ (ინფორმაცია მიეთითება იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იქნეს იარაღის/იარაღების იდენტიფიცირება);

გ) იარაღის ერთ-ერთი რეგისტრაციის შედეგად სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხო) მონაცემი/მონაცემები, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხო) მონაცემებისა.

2. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული ინფორმაცია იარაღზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ შესაძლებელია, აისახოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, დამატებით ან გაიცეს ცალკე დოკუმენტის (ცნობის) სახით.

3. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში აისახება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემები.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის განცხადებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, იარაღის სამართლებრივ მდგომარეობის შესახებ ცნობა გაიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ბოლო სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემებზე დაყრდნობით.

5. ამ თავის მიზნებისათვის სარეგისტრაციო (სააღიცხო) მონაცემად მიიჩნევა „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები, ასევე, მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული ინფორმაცია იარაღზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ.

6. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა (გარდა ამ მუხლის მე-7 პუქნტით გათვალისწინებული შემთხვევისა)გაიცემა:

ა) იარაღის მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით მხოლოდ, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში იარაღის რეგისტრაციის პერიოდში ასახული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ) იარაღის მესაკუთრის ან მოსარგებლის:

ბ.ა) წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ.ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

ბ.გ) მემკვიდრის, უფლებამონაცვლის ან სამართლმემკვიდრის მოთხოვნით, მხოლოდ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღიცხვო) მონაცემების შესახებ;

გ) იარაღის მესაკუთრედ რეგისტრირებული გარდაცვლილი ფიზიკური პირის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მოთხოვნით ან რომელიმე მათგანის წერილობითი თანხმობით (თანხმობა არ

არის საჭირო თუ პირის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელზე მეტი) ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ გარდაცვლილ პირზე რეგისტრირებული იარაღის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების შესახებ;

დ) სამკვიდროს მიღებით დაინტერესებული პირის ან სამკვიდროს მმართველის მოთხოვნით, მხოლოდ მამკვიდრებლის საკუთრებაში რეგისტრირებული იარაღის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების შესახებ.

7. ამ წესის მე-2 მუხლის „ო.გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ამსახველი ცნობა შესაძლებელია გაიცეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, თუ იგი ითხოვს კონკრეტული იარაღის შესახებ რეგისტრაციის არარსებობის ფაქტის დადასტურებას. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი იარაღი რეგისტრირებულია, ცნობაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტის არსებობის შესახებ, რეგისტრაციის მონაცემების მითითების გარეშე და მომსახურება გაწეულად ჩაითვლება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

## მუხლი 21$^2$

იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ წესის 21$^1$ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირი, რომლის უფლებამოსილებაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

## მუხლი 21$^3$

1. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს ამ ბრძანების 21$^1$ მუხლით განსაზღვრული მისაღები ინფორმაციის სახე, აგრეთვე მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად – მესაკუთრის ან მოსარგებლე პირის (სახელი, გვარი; რეგისტრაციის ადგილი; პირადი ნომერი) ან/და იარაღის (მარკა; მოდელი ან იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი ან იარაღის საიდენტიფიკაციო ნომერი) საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და რწმუნება;

გ) მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების მიღებისათვის ამ წესის 21$^1$ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დამადასტურებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტი;

დ) მომსახურების და დაჩქარებული მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაწევისათვის კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ განცხადებაში მითითებულ იქნა არასრულყოფილი ინფორმაცია ან წარმოდგენილი ინფორმაციის საშუალებით ვერ ხერხდება იარაღის ან მისი მესაკუთრის/მოსარგებლე პირის ზუსტი იდენტიფიცირება, სააგენტოს თანამშრომელს უფლება აქვს ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მოითხოვოს განცხადებაში მითითებული მონაცემების დაზუსტება ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

## მუხლი 21$^4$

იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების გაწევა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა ან წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება მისი უფლებამოსილება;

ბ) არსებობს შეზღუდვა, რომელიც კრძალავს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შედეგად ასახული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების გაცემას;

გ) არ იქნა გადახდილი მომსახურების და დაჩქარებული მომსახურების (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) საფასური;

დ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, მომსახურების/დაჩქარებული მომსახურების გაწევის შემზღუდავი სხვა გარემოება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის ბრძანება №14 - სსმ III, 16.01.2008, №6, მუხ.75*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

## თავი IV²

## მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*

### მუხლი 21⁵

1. მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელშიც სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების, გაცემული სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) შესახებ.

2. მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობა გაიცემა:

ა ) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის (ან ამ დოკუმენტის ასლის) საფუძველზე, მესამე პირის მოთხოვნით;

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მესამე პირის მოთხოვნით;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით.

3. მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან /და დაბადების თარიღი);

ბ) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ან „ გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მესამე პირის მოთხოვნით;

დ) კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სააგენტო არ არის ვალდებული, გადაამოწმოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტის ან მასში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.

5. დაინტერესებული პირი ვალდებულია, მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის მისაღებად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში აღნიშნული დოკუმენტის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დადგომიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ჩაითვლება გაწეულად).

6. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს, დაზუსტების მიზნით, უფლება აქვს მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/ და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება ავტორიზებული მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება სააგენტომ შეიძლება განახორციელოს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი მოთხოვნის ვებგვერდზე განთავსების (ატვირთვა) გზით.

[6. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან /და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

[7. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

8. მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლისას არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ სხვა უფლებამოსილი პირისაგან დოკუმენტის ან ინფორმაციის დამატებით გამოთხოვისათვის, აგრეთვე მომსახურების გაწევისათვის დაინტერსებული პირის მიერ დამატებით დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენისათვის გახარჯული დრო.

[8. (ამოღებულია - 12.09.2023, №71).*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

**მუხლი $21^6$**

მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობა არ გაიცემა, თუ:

ა) მისი გაცემა მოითხოვა არაუფლებამოსილმა პირმა;

ბ) არ იქნა ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით შეზღუდულია აღნიშნული ინფორმაციის გაცემა;

დ) ვერ ხერხდება მონაცემთა სუბიექტზე მართვის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების დადგენა;

ე) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან /და მესამე პირის იდენტიფიცირება;

ვ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით დადგენილი საფასური;

ზ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*

## თავი $IV^3$

### ნასამართლობის შესახებ ცნობის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის, პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის, ამ წესის „$III^6$“ თავით განსაზღვრული ცნობების, იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის და მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის შესრულების წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

**მუხლი $21^7$**

1. ნასამართლობის შესახებ ცნობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობა, პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ამ წესის „$III^6$“ თავით განსაზღვრული ცნობები, იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა და მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობა, გარდა ამ წესის $18^1$ მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა, გაიცემა მატერიალური დოკუმენტის სახით, რომელზეც სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით დაიტანება უფლებამოსილი პირის ხელმოწერის (ფაქსიმილე) ან/და ბეჭდის ფოტოასლი, რომელსაც გააჩნია ე.წ „სველი ხელმოწერისა“ და „სველი ბეჭდის“ თანაბარი იურიდიული ძალა.

2. დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს შესაძლოა დაესვას უფლებამოსილი პირის ე.წ. „სველი ხელმოწერა“ ან/და „სველი ბეჭედი“.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცნობები სააგენტოს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მიერ ამოიბეჭდება მატერიალური ფორმით, ერთ ეგზემპლარად, გარდა ამ წესის $18^1$ მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 03.05.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.04.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.08.2020წ.*

[თავი $IV^3$
(ამოღებულია)
*(ამოქმედდეს 2023 წლის 25 სექტემბრიდან)*]

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 13.09.2023 წ.*

## თავი $IV^4$

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „რ$^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის წესი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*

**მუხლი $21^8$**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „რ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის პირობას წარმოადგენს იურიდიული პირის, რომელიც არ არის ადმინისტრაციული ორგანო, მოთხოვნა და სააგენტოსთან დადებული ავტორიზაციის შესახებ ხელშეკრულება.

2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას, გადასაცემად მოთხოვნილი მონაცემები შეიცავს თუ არა პერსონალურ მონაცემს;

ბ) მოთხოვნილი მონაცემის კონკრეტულ ჩამონათვალს;

გ) პერსონალური მონაცემის გადაცემის მოთხოვნის შემთხვევაში დამატებით:

გ.ა) პერსონალური მონაცემის დამუშავების მიზანს;

გ.ბ) პერსონალური მონაცემის მოცულობას და ამ მოცულობით მონაცემთა დამუშავების საჭიროების შესახებ დასაბუთებას;

გ.გ) პერსონალური მონაცემის დამუშავების საფუძველს;

გ.დ) მონაცემთა სუბიექტის თანხმობის სახეს, თუ პერსონალური მონაცემის დამუშავების საფუძველს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა წარმოადგენს;

გ.ე) მონაცემთა შენახვის ვადას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის (მოთხოვნაში მითითებული ინფორმაციის) კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, შესაბამის დაინტერესებულ პირთან დადოს ავტორიზაციის ხელშეკრულება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ავტორიზაციის გადასახდელი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გადასახდელი ფულადი თანხა, ავტორიზაციის შეწყვეტის ან/და შეჩერების საფუძვლები, ამ წესის 21[9] მუხლით განსაზღვრული გადასაცემი მონაცემის მოცულობა და შესაბამისი მომსახურების საფასური, აგრეთვე ავტორიზაციის სხვა მოთხოვნები და ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სააგენტოსთან დადებული ავტორიზაციის შესახებ ხელშეკრულებით.

5. სააგენტოსთან ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს (შემდგომში – ავტორიზებული საწარმო) უფლება აქვს, სააგენტოს მიმართოს ელექტრონული სახით და სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთვით წარადგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით და ამ წესის 21[10] მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები/ინფორმაცია.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*

**მუხლი 21[9]**

ავტორიზებული საწარმოსთვის ამ წესის 21[8] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას დაიშვება შემდეგი მონაცემების გადაცემა:

ა) სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შედეგად დამუშავებული მონაცემები:

ა.ა) სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის მფლობელის შესახებ:

ა.ა.ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ა.ა.ბ) სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი;

ა.ბ) სატრანსპორტო საშუალების:

ა.ბ.ა) მარკა;

ა.ბ.ბ) მოდელი;

ა.ბ.გ) ტიპი (ძარას ტიპი);

ა.ბ.დ) საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN);

ა.ბ.ე) ძარას საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ.ვ) შასის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ.ზ) ძრავას საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ.თ) გამოშვების წელი;

ა.ბ.ი) ფერი;

ა.ბ.კ) სრული მასა;

ა.ბ.ლ) ნებადართული მაქსიმალური მასა;

ა.ბ.მ) დაუტვირთავი მასა;

ა.ბ.ნ) ძრავას მოცულობა (სმ$^3$-ობით);

ა.ბ.ო) ძრავას მაქსიმალური სიმძლავრე (კვტ-ობით);

ა.ბ.პ) საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო;

ა.ბ.ჟ) რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი);

ა.ბ.რ) რეგისტრაციის მოწმობის უნიკალური ნომერი;

ა.ბ.ს) რეგისტრაციის თარიღი;

ა.ბ.ტ) რეგისტრაციისას ასახული რეგისტრაციის მოწმობის მფლობელის უფლება ნივთზე;

ა.ბ.უ) რეგისტრაციის საფუძველი;

ბ) კალენდარული წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარიცხული ქულების დარჩენილი რაოდენობის, ასევე მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის ამოწურვის გამო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ან/და მისი აღდგენის შესახებ არსებული მონაცემი;

გ) სააგენტოს მიერ სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმების ან დათვალიერების საფუძველზე შესაბამის დათვალიერების აქტში ასახული მონაცემი:
გ.ა) სატრანსპორტო საშუალების საჭის განლაგების შესახებ;
გ.ბ) სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის მიერ საჭის მარჯვენა მხარეს განლაგებით წარმოებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საჭის მარცხენა მხარეს გადატანის ფაქტის გამოვლენის და ფაქტის გამოვლენის თარიღის შესახებ.
დ) სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახული ინფორმაცია ფიზიკური პირის (მძღოლის) ან/და სატრანსპორტო საშუალების შესახებ;
ე) საგზაო მოძრაობის რეგულირებასა და საგზაო მოძრაობის სფეროში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ მონაცემები, კერძოდ:
ე.ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) ან ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით შედგენილი საჯარიმო ქვითრის (შემდგომში – საჯარიმო ქვითარი) ნომერი, შედგენის თარიღი და ადგილი;
ე.ა[1]) ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ან/და ფოტოსურათი.
ე.ბ) მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი);
ე.გ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნიშნები;
ე.დ) ნორმატიული აქტი და შესაბამისი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;
ე.ე) დაკისრებული ჯარიმის ოდენობა, სტატუსი (გადახდილი/გადაუხდელი), გადახდის ბოლო ვადა;
ე.ვ) საჯარიმო ქვითრის აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის პირობები;
ე.ზ) საურავის დარიცხვის თარიღი და ოდენობა;
ე.თ) საჯარიმო ქვითრის საჯაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №634 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №71 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 6 ივნისის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 07.06.2023წ.*

**მუხლი $21^{10}$**

1. ამ წესის $21^9$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის „ა.ა.ა“ ქვეპუნქტით, „ბ“ ქვეპუნქტით, „დ“ (გარდა სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციისა) და „ე“ ქვეპუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ავტორიზებული საწარმოსთვის გადაცემა დაიშვება მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი თანხმობის არსებობისას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. ამ წესის $21^9$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის „ა.ა.ბ“ ქვეპუნქტით და „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ მონაცემის ავტორიზებული საწარმოსთვის გადაცემა, რომელიც ავტორიზებული საწარმოს მიერ მოთხოვნის განხორციელებისას დაკავშირებულია კონკრეტულ ფიზიკურ პირთან, დაიშვება მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი თანხმობის არსებობისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული თანხმობა მონაცემთა სუბიექტის მიერ შეიძლება გაცხადებულ იქნეს:
ა) ავტორიზებული საწარმოს წინაშე – ზეპირი ან წერილობითი ფორმით;
ბ) სააგენტოს წინაშე – წერილობითი ფორმით.
4. ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით ავტორიზებული საწარმო ვალდებულია, სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთვით, ელექტრონული სახით სააგენტოს წარუდგინოს:
ა) შესაბამისი მონაცემის გადაცემის მოთხოვნა;
ბ) ავტორიზებული საწარმოს მიერ ამ წესის $21^9$ მუხლით გათვალისწინებული იმ მონაცემის გადაცემის მოთხოვნისას, რომელიც მოთხოვნის განხორციელებისას დაკავშირებულია კონკრეტულ ფიზიკურ პირთან, დამადასტურებელი დოკუმენტი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გაცხადების შესახებ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისა;
გ) ავტორიზებული საწარმოს მიერ ამ წესის $21^9$ მუხლით გათვალისწინებული იმ მონაცემის გადაცემის მოთხოვნისას, რომელიც მოთხოვნის განხორციელებისას დაკავშირებული არ არის კონკრე-ტულ ფიზიკურ პირთან, შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს აქვთ იურიდიული ძალა და

საწინააღმდეგოს დადგენამდე უტყუარად ითვლებიან.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს წარმოადგენს:

ა) ამ წესის $21^9$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემის მოთხოვნის მიზნებისთვის – ავტორიზებული საწარმოს მიერ ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელშიც დოკუმენტბრუნვის სისტემის სათანადო ველში მითითებულია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის უნიკალური ნომერი ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის მფლობელის პირადი ნომერი და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი), თუ ავტორიზაციის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) ამ წესის $21^9$ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემის მოთხოვნის მიზნებისთვის – ავტორიზებული საწარმოს მიერ ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელშიც დოკუმენტბრუნვის სისტემის სათანადო ველში მითითებულია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის უნიკალური ნომერი და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის მფლობელის პირადი ნომერი, თუ ავტორიზაციის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გ) ამ წესის $21^9$ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემის მოთხოვნის მიზნებისთვის – ავტორიზებული საწარმოს მიერ ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელშიც დოკუმენტბრუნვის სისტემის სათანადო ველში მითითებულია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის უნიკალური ნომერი და სამართალდამღვევი პირის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი, ან საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუ ავტორიზაციის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. ამ წესის $21^9$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის „ა.ა.ბ“ ქვეპუნქტით და „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემის მოთხოვნისას, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს წარმოადგენს ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელშიც დოკუმენტბრუნვის სისტემის სათანადო ველში მითითებულია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მხოლოდ რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი), თუ ავტორიზაციის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

$7^1$. ამ წესის $21^9$ მუხლის „ე.ა“, „ე.ა$^1$“ და „ე.გ“–„ე.თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემის მოთხოვნის მიზნებისთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს წარმოადგენს ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შესახებ ავტორიზებული საწარმოს მოთხოვნა, რომელშიც დოკუმენტბრუნვის სისტემის სათანადო ველში მითითებულია მხოლოდ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის უნიკალური ნომერი ან/და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი), ან მხოლოდ საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუ ავტორიზაციის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანხმობის გაცხადება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სააგენტოს მიერ ამ წესის $21^9$ მუხლით გათვალისწინებული მონაცემის ავტორიზებული საწარმოსათვის გადაცემა ხორციელდება ელექტრონულად, მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე ელექტრონული ბაზის მეშვეობით, მომსახურების გაწევისას არსებული მდგომარეობით.

10. სააგენტო პასუხს არ აგებს ავტორიზებული საწარმოს მიერ გადაცემული მონაცემის შემდგომ გავრცელებასა ან/და გადაცემაზე ან სხვაგვარ ხელმისაწვდომობაზე მესამე პირებისათვის.

11. ავტორიზებული საწარმოს ერთი განაცხადით დაიშვება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთი ფაქტის შესახებ მონაცემების ან ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან/და მისი მესაკუთრის (მოსარგებლის) და ერთ ერთეულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობაზე კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარიცხული ქულების დარჩენილი რაოდენობის, ასევე მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის ამოწურვის გამო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ან/და მისი აღდგენის შესახებ არსებული მონაცემის/მონაცემების გადაცემა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 14.12.2020 წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 6 ივნისის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 07.06.2023წ.*

### მუხლი $21^{11}$

სააგენტო და ავტორიზებული საწარმო ვალდებული არიან, აწარმოონ ამ წესის $21^8$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის/გაწევის მოთხოვნის საფუძველზე პერსონალური მონაცემის შესაბამისი დამუშავების აღრიცხვა და ფაილური სისტემის კატალოგი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №486- ვებგვერდი, 25.09.2017წ.*

## $IV^5$

## გარდამავალი დებულებანი

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

### მუხლი 21$^{12}$

2017 წლის 1 ნოემბრამდე დადებული ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ სააგენტოში ლიზინგის რეგისტრაციისას არ გამოიყენება ამ წესის 14$^{4}$ მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და მე-6 პუნქტის მოთხოვნები. ამასთან, ლიზინგის რეგისტრაცია ხორციელდება ლიზინგის გამცემის განცხადების საფუძველზე.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №532- ვებგვერდი, 31.10.2017წ.*

### მუხლი 21$^{13}$

1. 2020 წლის 31 ოქტომბრამდე, საპარლამენტო არჩევნებში პირთა მონაწილეობის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია განცხადება უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის მისაღებად და ასეთი პირის მიმართ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში აღირიცხება მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, ამასთან, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს/ვერ მოიძებნა ამ საქმეზე განაჩენი, პირის მიმართ გაიცემა ცნობა უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ ბრძანების 17$^{8}$ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესი.

2. ამ მუხლის ამოქმედებამდე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე ამ ბრძანების 17$^{8}$ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დაწყებული პროცედურა წყდება.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ დაინტერესებული პირის მიმართ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში აღირიცხება მონაცემები „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და 2020 წლის 1 მაისიდან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №138 - ვებგვერდი, 30.09.2020წ.*

### მუხლი 21$^{14}$

1. ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნასამართლობის შესახებ, 17$^{4}$ მუხლით გათვალისწინებული პირის მსჯავრდების შესახებ, 17$^{7}$ მუხლით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის შესახებ და 17$^{10}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის (მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა) შესახებ იმ ცნობების მოქმედების ვადად, რომელთა გაცემამაც (დამზადება) განხორციელდა 2021 წლის 6 აგვისტოდან 2021 წლის 3 სექტემბრამდე პერიოდში, განისაზღვროს 30 კალენდარული დღე.

2. 2021 წლის 6 აგვისტოდან 2021 წლის 3 სექტემბრამდე პერიოდში დამზადებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცნობების მისაღებად დაინტერესებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში არაუგვიანეს აღნიშნული დოკუმენტების (ცნობების) მოქმედების ვადისა (მითითებულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დოკუმენტი ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებას, ამასთან, მომსახურება ითვლება გაწეულად).

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №47 - ვებგვერდი, 06.08.2021წ.*

## თავი V
## დასკვნითი დებულებები

### მუხლი 22

ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.



მოგირავნე:
დამგირავებელი:
გირავნობის საფუძველი:
გირავნობის რეგისტრაციის თარიღი:

## გირავნობის საგანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

სახ. ნომერი:
მარკა:
მოდელი:
ტიპი:

რეგ.მოწმობის ნომერი:
ფერი:
გამოშვების წელი:
საიდენტ. ნომერი:

ძრავის ნომერი:
შასის ნომერი:
ძარის ნომერი:
მესაკუთრე:

## სამართლებრივი დატვირთვა:

## ცვლილებები შეზღუდვა

ხელმოწერა: ........ ბ.ა

მოწმობის გაცემის თარიღი: 25.08 2006 წ.

დამტკიცებულია შსს მინისტრის 2007 წ. 25 ივნისის ბრძანებით

---

დანართი №2

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ENTITY OF PUBLIC SERVICE AGENCY OF MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

## ყადაღის მოწმობა №:

ყადაღის გამოცემა:
ყადაღის მიმღები:
ყადაღის საფუძველი:
ყადაღის რეგისტრ. თარიღი:

## ყადაღის საგანი, სატრანსპორტო საშუალება:

მესაკუთრე:
პირადი №:
მისამართი:
მარკა,მოდელი:
საიდ. ნომერი:

სახ. ნომერი:
რეგ.მოწმ.ნომერი:
ფერი:
გამოშვების წელი:
ტიპი:

ძრავის №:
შასის №:
ძარის №:

## სამართლებრივი დატვირთვა:

## ცვლილებები შეზღუდვა:

ხელმოწერა: ____________________

მოწმობის გაცემის თარიღი:

დამტკიცებულია შს მინისტრის 2007წ. 25 ივნისის №892 ბრძანებით